

შრომა და სოციალური სამართლიანობა

უმაღლესი განათლება და სოციალური სამართლიანობა

სტუდენტთა სოციალური საჭიროებების კვლევა

ანა პაპიაშვილი, თემო ბეჟანიძე

სექტემბერი 2022



კვლევა აჩვენებს, რომ არსებობს კონფლიქტი სტუდენტთა დასაქმებასა და მათ საგანმანათლებლო პრაქტიკას შორის. უმაღლესი განათლება ნაკლებად ზრდის დასაქმების შანსს პროფესიული ნიშნით.



საცხოვრისის საკითხი სტუდენტებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის ერთ-ერთ მთავარ ხელშეშლელ ბარიერს წარმოადგენს. გასათვალისწინებელია, რომ ყოველთვიური ხარჯების ჭრილში საცხოვრისი ყველაზე დიდი წილითაა წარმოდგენილი.



სწავლის გადასახადი, საცხოვრისის ხარჯებთან ერთად, სტუდენტების ყოველთვიური დანახარჯების ძირითად ნაწილს შეადგენს. სწავლის გადასახადის დასაფარად მთავარ ფინანსურ წყაროდ ოჯახი და ანაზღაურებადი სამსახურიდან შემოსავალი დასახელდა.

შრომა და სოციალური სამართლიანობა

უმაღლესი განათლება და სოციალური სამართლიანობა

სტუდენტთა სოციალური საჭიროებების კვლევა

პუბლიკაცია მომზადდა

კრიტიკული პოლიტიკის
პლატფორმა

თანამშრომლობით

სარჩევი

წინათქმა	2
შეჯამება	3
ძირითადი მიგნებები	4
შესავალი	6
მეთოდოლოგია	8
1. უმაღლესი განათლება და სოციალური სამართლიანობა: ბარიერები ხელმისაწვდომობაზე (გლობალური და ადგილობრივი კონტექსტი)	10
1.1 უმაღლესი განათლების დაფინანსების მოდელების მიმოხილვა: საჯარო და უმაღლესი განათლების პოლიტიკა გლობალურ კონტექსტში	10
1.2 სწავლის საფასურის და სუბსიდირების პოლიტიკა საქართველოში – მოკლე მიმოხილვა	13
1.3 უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის პოლიტიკის შეფასება საქართველოში უფლებრივი პერსპექტივიდან	13
2. განათლებაზე ხელმისაწვდომობა და სტუდენტთა სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა	17
2.1 სტუდენტთა სოციო-ეკონომიკური ფონი და გადასვლა უმაღლესი განათლების საფეხურზე	17
2.2 სტუდენტთა შემოსავლები და დანახარჯები: დასაქმება, საცხოვრისი და სწავლის გადასახადი	20
2.3 კოვიდ-19-ის პანდემიის გავლენა და უმაღლესი განათლების სოციალური განზომილება	27
3. დასკვნა და რეკომენდაციები	29

წინათქმა

„სტატუსშეჩერებული სტუდენტების რიცხვმა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია“ - ყოველი წლის ნოემბერსა და აპრილში, სხვადასხვა გამოცემის პედაგოგები სოციალური მედიის მომხმარებლებს შეახსენებს სტუდენტთა მძიმე სოციალურ მდგომარეობას საქართველოში. სტატუსის შეჩერების მთავარ მიზეზად ხშირად სწავლის გადასახადის შეუძლებლობა სახელდება. მაგრამ, რა ფაქტორები დგას რეალურად სტატუსის შეჩერების მიღმა? ან უფრო ზოგადად თუ ვიტყვით, რა ტიპის სოციალ-ეკონომიკური საჭიროებები უკავშირდება უმაღლესი განათლების მიღებას საქართველოში? წინამდებარე კვლევა წარმოადგენს მცდელობას, სტუდენტების პერსპექტივიდან, შეაფასოს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული ბარიერები, პერსპექტივები და პრობლემები.

კრიტიკული პოლიტიკის პლატფორმა განსაკუთრებულ მადლობას უხდის მკვლევართა ჯგუფს და კონსულტანტებს, განათლების ექსპერტებს, კვლევის პროცესში გაწეული მნიშვნელოვანი კონტრიბუციისთვის. კვლევის ჯგუფის სახელით, გვინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ დავით სიჭინავას, CRRC საქართველოს კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელს, მეთოდოლოგიურ ნაწილში გაწეული დახმარებისთვის და ასევე, განათლების ექსპერტს, ლელა ჩახაიას, კვლევის რედაქტირების პროცესში გაწეული რჩევებისა და რეკომენდაციებისთვის. და ბოლოს, გვინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ ფრიდრიხ ებერტის ფონდს და მის წარმომადგენლებს, რომლებმაც მოგვცეს შესაძლებლობა გაგვეზოგადებინა აღნიშნული პროექტი და შეგვექმა კრიტიკული სადისკუსიო სივრცე განათლებისა და სოციალური სამართლიანობის საკითხებზე სამსჯელოდ.

შეჯამება

წინამდებარე კვლევა შეისწავლის საქართველოში უმაღლესი განათლების საფეხურზე მყოფი სტუდენტების სოციო-ეკონომიკურ და კეთილდღეობასთან დაკავშირებულ ბარიერებს. რამდენადაც განათლებაზე ხელმისაწვდომობა კომპლექსურ ცვლადს წარმოადგენს, კვლევა სტუდენტების გამოცდილებას რამდენიმე მიმართულებით შეისწავლის, სახელობრ: ზოგადი განათლების საფეხურიდან უმაღლესი განათლების საფეხურზე გადასვლის პროცესს, სწავლის გადასახადის თავისებურებებს და ყოველდღიურ ხარჯებს, საცხოვრისთან დაკავშირებულ საკითხებს, დასაქმების შესაძლებლობებს და პოლიტიკას და სწავლებასთან დაკავშირებულ სხვა ბარიერებს. კვლევისთვის ემპირიული მონაცემების შეგროვება მოხდა ფოკუს ჯგუფების საფუძველზე, ასევე, გამოყენებულ იქნა ექსპერტული ინტერვიუების მეთოდი. კვლევის პროცესში ჩატარდა 24 ფოკუს ჯგუფი, საქართველოში მოქმედ სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებთან. დამატებით, 6 ექსპერტული ინტერვიუ ჩაიწერა განათლების ექსპერტებთან, პოლიტიკური ეკონომიკის სპეციალისტებთან და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თუ რელევანტური სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან.

კვლევამ აჩვენა, რომ უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის კონტექსტში, საცხოვრისი წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ პრობლემას, რომელიც ნეგატიურად აისახება სტუდენტთა სოციალურ კეთილდღეობაზე. ხელმისაწვდომობის კონტექსტში, მეორე მნიშვნელოვან პრობლემას სასწავლო გადასახადი წარმოადგენს. ამ ორი ფაქტორის კომბინაცია კი სტატუსის შეჩერების ძირითადი საფუძველი ხდება, განსაკუთრებით იმ სტუდენტების შემთხვევაში, ვინც სხვადასხვა რეგიონიდან ქ. თბილისში გადმოვიდა სასწავლო მიზნებისთვის. აღნიშნულ ფაქტორებთან ერთად, უმაღლესი განათლების დაფინანსების სიმცირე და სტუდენტთა დაბალი შემოსავლები ხშირად ხდება მიზეზი, რომ სტუდენტები ჩაერთნონ მომსახურების სექტორში. ამ კონტექსტში, უმაღლესი განათლება ნაკლებად უწყობს ხელს პროფესიული ნიშნით დასაქმების შესაძლებლობის გაზრდას. კვლევაში ასევე შესწავლილია სტუდენტების დამოკიდებულებები დისტანციური სწავლების მიმართ. მიუხედავად განსხვავებული დამოკიდებულებებისა დისტანციური სწავლების მიმართ, მნიშვნელოვანი კავშირი გამოიკვეთა ამ ფორმატსა და სტუდენტების ყოველთვიური ხარჯების შემცირებას შორის.

ძირითადი მიგნებები

სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა და გადასვლა ზოგადიდან უმაღლესი განათლების საფეხურზე:

- კერძო და საჯარო სკოლას შორის მნიშვნელოვანი განმასხვავებელი რესურსები და შესაძლებლობებია. ამასთან მნიშვნელოვანი განსხვავებაა კლასში მოსწავლეთა რაოდენობასა და პედაგოგთა დამოკიდებულებებს შორის, კერძოდ, საჯარო სკოლაში არსებობს მოლოდინი, რომ მოსწავლე ყველა საგანში დამატებით მოემზადება.
- მნიშვნელოვან ფაქტორად გამოიყო ოჯახი - სტუდენტების შეფასებით, ოჯახი და თავადაც, სოციალური წნეხის ქვეშ ექცვიან და საზოგადოების მხრიდან ნეგატიური დამოკიდებულების შიშის გამო სკოლის შემდეგ უწყვეტად აბარებენ უნივერსიტეტში.
- საბაკალავრო საფეხურიდან მაგისტრატურაზე სწავლის უწყვეტად გაგრძელების მნიშვნელოვან მოტივად დასაქმების გაზრდილი შესაძლებლობა დასახელდა. ამ ეტაპზეც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ოჯახის გადაწყვეტილება, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუკი სწორედ პირველადი ჯგუფი არის სწავლის დაფინანსების ერთადერთი ან ერთ-ერთი ძირითადი წყარო.
- უმაღლესი განათლება მამრობითი სქესის სტუდენტების მიერ სავალდებულო სამხედრო სამსახურისგან თავის დაღწევის ერთ-ერთ საშუალებად დასახელდა.

სტუდენტების შემოსავლები და დანახარჯები: დასაქმება, საცხოვრისის პოლიტიკა და სწავლის გადასახადი:

- კვლევა აჩვენებს, რომ არსებობს კონფლიქტი სტუდენტთა დასაქმებასა და მათ საგანმანათლებლო პრაქტიკას შორის. უმაღლესი განათლება ნაკლებად ზრდის დასაქმების შანსს პროფესიული ნიშნით. თუმცა, მომსახურების სფეროში დასაქმება ქმნის მნიშვნელოვან ბარიერებს სასწავლო დროსთან ადაპტაციაში.

- დასაქმებული სტუდენტების ნაწილი ფიქსირებული მეტ საათს მუშაობს, რაც უარყოფითად აისახება მათ ყოველდღიური ცხოვრებაზე, განსაკუთრებით კი სწავლის პროცესზე. გაწეულ საქმესა და ანაზღაურებას შორის არსებული დისბალანსის გამო კი, ანაზღაურება ყოველთვიური ხარჯების დასაფარადაც არ არის საკმარისი.
- სტუდენტების აზრით, უნივერსიტეტში მიღებული განათლება დასაქმებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებსა და ცოდნას ვერ უზრუნველყოფს, განსაკუთრებით პროფესიით დასაქმების შემთხვევაში. მიღებული ცოდნით, საკუთარი სპეციალობით სტაჟიორად დასაქმებაც კი პრობლემურ საკითხად განიხილება.

სოციალური საკითხები და საცხოვრისის პოლიტიკა:

- საცხოვრისის საკითხი სტუდენტებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის ერთ-ერთ მთავარ ხელშემშლელ ბარიერს წარმოადგენს. გასათვალისწინებელია, რომ ყოველთვიური ხარჯების ჭრილში საცხოვრისი ყველაზე დიდი წილითაა წარმოდგენილი.
- საცხოვრისის პრობლემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ სტუდენტებისთვის, ვინც რეგიონებიდან ქ. თბილისში გადმოვიდნენ სწავლის მიზნით. სტუდენტებისთვის საცხოვრისთან დაკავშირებული ხარჯები სტატუსის შეჩერების ერთ-ერთ განმარტებულ ფაქტორს.
- სტუდენტური საცხოვრებლების სიმცირის და ქირავნობის მაღალი ხარჯების გამო, სტუდენტთა ნაწილი ქ. თბილისთან ახლოს სხვა ქალაქებში (ძირითადად, რუსთავი) ქირავნობის პრაქტიკებსაც მიმართავს, რათა შეამციროს აღნიშნული ხარჯები.

სწავლის გადასახადი და მასთან დაკავშირებული საკითხები:

- სწავლის გადასახადი, საცხოვრისის ხარჯებთან ერთად, სტუდენტების ყოველთვიური დანახარჯების ძირითად ნაწილს შეადგენს.
- სწავლის გადასახადის დასაფარად მთავარ ფინანსურ წყაროდ ოჯახი და ანაზღაურებადი სამსახურიდან შემოსავალი დასახელდა. პანდემიიდან გამომდინარე კი, სტუდენტების დიდი ნაწილი დასაქმებას ვერ ახერხებს, ამდენად მთელ ხარჯზე პასუხისმგებელი ხშირად ოჯახია. გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც მშობლებს, სწორედ შვილებს სწავლის გადასახადის დაფარვის მიზნით, ემიგრაციაში უწევთ წასვლა.
- სწავლის გადასახადის დასაფარად სტუდენტებს ან მისი ოჯახის რომელიმე წევრს უწევთ სამომხმარებლო სესხით სარგებლობა.
- სწავლის საფასურის გადახდა განსაკუთრებით დიდ პრობლემებთან არის დაკავშირებული არსებული კოვიდ პანდემიის პირობებში, რაც უკავშირდება სტუდენტებში სამსახურის და შესაბამისად, სტაბილური შემოსავლის წყაროს დაკარგვას.
- იმ სტუდენტების შემთხვევაში, ვინც სწავლის პარალელურად მუშაობდნენ და პანდემიის გამო დაკარგეს სამსახურები, გაიზარდა სტუდენტის სტატუსის შეჩერების რისკი.
- ზოგიერთი სტუდენტისთვის დისტანციური რეჟიმი პოზიტიურად აისახა სწავლის სამსახურთან შეთავსებაზე და ასევე, ლექცია-სემინარების ფარგლებში მათ ჩართულობაზე, რამდენადაც, ფიზიკურ სივრცეში სხვადასხვა ფსიქო-სოციალური ფაქტორების გამო, ჯგუფში აქტიურობა ერიდებოდათ. როგორც უკვე აღინიშნა, დისტანციური სწავლის ფორმატმა პოზიტიური გავლენა იქონია ხარჯების შემცირებაზე.

სასწავლო რესურსებზე ხელმისაწვდომობა:

- სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტების შეფასებით, საგნის სილაბუსში მითითებული ძირითადი ლიტერატურა ხელმისაწვდომია დისტანციური სწავლების ფორმატის ფარგლებშიც. მსგავს გამოცდილებაზე მიუთითებდნენ პანდემიამდელ პერიოდშიც.
- პრობლემურია უშუალოდ სახელმძღვანელოების შინაარსი, რამდენადაც არ ასახავს სხვადასხვა დისციპლინის ფარგლებში მიმდინარე, განახლებულ თეორიულ მსჯელობებს. მსგავს პრობლემებზე, ძირითადად, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებმა გაამახვილეს ყურადღება.

COVID-19 პანდემიის გავლენა უმაღლეს განათლებაზე:

- დისკუსიის შედეგად გამოვლინდა, რომ დისტანციური სწავლის ფორმატში რეგიონში მაცხოვრებელი სტუდენტებისთვის ძირითად დაბრკოლებას ინტერნეტთან სრულფასოვანი წვდომა წარმოადგენდა.
- დისტანციური სწავლების ფორმატი ასევე რთული აღმოჩნდა იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ცხოვრობენ დიდ ოჯახში და არ აქვთ ინდივიდუალური სივრცე.

შესავალი

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველო გახდა სივრცე არაერთი პოლიტიკური ექსპერიმენტისთვის. მათ შორის აღსანიშნავია 2000-იანი წლებიდან დაწყებული ნეოლიბერალური ექსპერიმენტი. ვარდების რევოლუციის შემდეგ წამოწყებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა შედეგად მოიტანა სახელმწიფოს ზედამხედველობითი და რეგულატორული როლის მასობრივად შეკვეცა და ასევე, სახელმწიფოს ჩაურევლობის დოგმატის დამკვიდრება (ტიმი, 2017). სახელმწიფოსადმი გამოცხადებულმა უნდობლობამ წახალისა ეკონომიკური რეგულაციისთვის საჭირო საკანონმდებლო ინიციატივების შემცირება და მთელი რიგი სახელმწიფოს ფუნქციების გაუქმება (ჯონსი, 2013). მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით, საქართველოში, პოსტ-საბჭოთა ქვეყნებს შორის, ეკონომიკური კეთილდღეობა ყველაზე უთანასწოროდ არის გადანაწილებული (The World Bank, 2019).

პოსტ-საბჭოთა ტრანზიციის პროცესში განხორციელებული რეფორმები უმაღლეს განათლებასაც შეეხო. დამოუკიდებლობის მოპოვებამდე საქართველოს უმაღლესი განათლება საბჭოთა სისტემის ნაწილი იყო, რაც მის ფორმისა და მინაარსით სტანდარტიზებას განაპირობებდა. უმაღლესი განათლების ინსტიტუციური ლანდშაფტი ძალიან ჰგავდა სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში არსებულ სისტემას (Sharvashidze, 2005). პოსტ-საბჭოთა პერიოდში უმაღლესი განათლების რეფორმებში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უმაღლესი განათლების პრივატიზაციას ეკავა (Chakhaia & Bregvadze, 2018). ამავე პერიოდში, 1990-2000 წლებში 200-ზე მეტი კერძო უნივერსიტეტი დაარსდა. უმაღლესი განათლების სფეროში ძირეული რეფორმები უნივერსიტეტებში მანამდე ფესვგადგმული კორუფციული პრაქტიკის აღმოსაფხვრელად შექმნილ ერთიანი ეროვნული გამოცდების (ეეგ) სისტემას უკავშირდება.

ეეგ-ის სისტემის შემოღების შედეგად უმაღლესი განათლების მასიფიკაციამ მასშტაბურ ხასიათს მიაღწია. განათლების მეცნიერებათა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2020 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების რაოდენობა

237 ათასს უტოლდებოდა. უმაღლესების მასიფიკაცია დაკავშირებული იყო, ერთი მხრივ, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ შექმნილ მძიმე ეკონომიკურ პრობლემებთან და, მეორე მხრივ, მოლოდინებთან, რომ უმაღლესი განათლების მიღება უმუშევრობისა და სიღარიბის აღმოფხვრის შესაძლებლობას შექმნიდა. (სამნიაშვილი, 2017), (ბაქრაძე, 2019).

მიუხედავად ცალკეულ შემთხვევებში მთავრობების მიერ განხორციელებული პროგრესული საკანონმდებლო ძალისხმევებისა, სოციალური უთანასწორობა, სიღარიბე და ინსტიტუციური კრიზისი კვლავ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. ქვეყნის მოსახლეობისთვის მთავარ პრობლემას კვლავ ეკონომიკური ხასიათის პრობლემები (უმუშევრობა, სიღარიბე, ფასების ზრდა) წარმოადგენს. (CRRC Georgia, 2020). სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობა კიდევ უფრო ნათლად წარმოჩნდა გლობალური კოვიდ პანდემიის პირობებში, შედეგად, წინა წლების მსგავსად, მოსახლეობის აზრით, მთავარ პრობლემას კვლავ უმუშევრობა წარმოადგენს, რომელსაც კორონავირუსი მოსდევს. (CRRC Georgia, 2020). არსებული უთანასწორობა მნიშვნელოვნად შეეხო სტუდენტებსაც, რომლებიც ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენენ ეკონომიკური კეთილდღეობის თვალსაზრისით. უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობაში მნიშვნელოვანი განსხვავებები შეინიშნება სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით. (DZHW, 2021).

ევროსტუდენტის საერთაშორისო კონსორციუმის კვლევის - „ევროსტუდენტი VI ტალღა“ (2018) მიხედვით, რომელიც ევროპის უნივერსიტეტების სტუდენტების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ცხოვრების პირობებსა და სწავლის თავისებურებებს შეისწავლის, საქართველოს შესახებ მონაცემები ცალსახად მიუთითებს სტუდენტთა ჭარბვალიანობის პრობლემაზე. იმ სტუდენტთა წილი, რომლებსაც ძალიან სერიოზული ფინანსური პრობლემები აქვთ, საქართველოს სტუდენტების საერთო რაოდენობის 40%-ს წარმოადგენენ. ამავე კვლევის კროსკულტურული მონაცემთა ბაზის მიხედვით, ზემოაღნიშნული მაჩვენებლით, საქართველო, სხვა ევროპულ ქვეყნებთან შედარებით, პირველ ადგილზეა პრობლემის აქტუალურობის მხრივ. (DZHW, 2021). ამავდროულად, 2020 წლის პირველი ნოემბრის

მდგომარეობით, სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა რაოდენობა 73 020-ია და ეს მონაცემი ბოლო რვა წლის მაქსიმუმია. (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2020).

გარდა ამისა, სტუდენტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება მნიშვნელოვანია გლობალური პანდემიის კონტექსტში, რადგან მნიშვნელოვნად შეცვალა სწავლების მეთოდები უმაღლესი განათლების სისტემაში (აუდიტორული ლექციებიდან დისტანციურ სწავლებამდე). ანალოგიურად, დისტანციურ სწავლებაზე გადასვლასთან ერთად, განათლების ხელმისაწვდომობის შეფასებისთვის მნიშვნელოვანია მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების შეფასება (ინტერნეტი, ტექნიკური მოწყობილობები), საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა, ადეკვატური სასწავლო სივრცეების არსებობა, ასევე სტუდენტების დასაქმების საკითხები. განათლებაზე ხელმისაწვდომობა რთული კონცეფციაა და ის მოიცავს მრავალ ურთიერთდაკავშირებულ სოციალურ სტრუქტურას (Pfeffer, 2018). ასეთი ფართო გაგებით, სტუდენტური გამოცდილება პოტენციურად მოიცავს ყველა საკითხს, როგორც სკოლის, ისე უნივერსიტეტის სწავლის გამოცდილებას და საჭიროებებს სასწავლო პროცესის მიღმა.

წინამდებარე კვლევა შეისწავლის უმაღლესი განათლების საფეხურის სტუდენტთა სოციალურ საჭიროებებს. კვლევაში შესწავლილია საკითხები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს სტუდენტების ყოველდღიურ ცხოვრებაზე, სასწავლო გარემოსა და სასწავლო პროცესში მონაწილეობაზე. კვლევა ასევე ფოკუსირდება სტუდენტების სასკოლო გამოცდილებებზე, რაც შესაძლოა უმაღლეს საფეხურზე გადასვლის წინაპირობას წარმოადგენდეს. კვლევა აანალიზებს სტუდენტების დასაქმების შესაძლებლობებს და პრაქტიკებს, რამდენადაც სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად გაანალიზებულიყო ყველა ფინანსური წყარო, რაც მათ სწავლისა და სხვა საყოფაცხოვრებო ხარჯების დაფარვის შესაძლებლობას აძლევთ. იმის გათვალისწინებით, რომ კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ მკვეთრად შეცვალა სტუდენტების ყოველდღიური ცხოვრება, კვლევაში გაანალიზდა, თუ რა მიმართულებით შეიცვალა სტუდენტების ყოველდღიური ცხოვრება, როგორ იმოქმედა პანდემიამ სასწავლო პროცესზე და რამდენად შეძლეს სტუდენტებმა შეცვლილ სასწავლო პროცესში სრულფასოვნად მონაწილეობა.

კვლევის შეკითხვები შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

- როგორ ახდენს სტუდენტების სოციალური კეთილდღეობა (დასაქმება, რესურსები, ხარჯები, საცხოვრისი და სხვ.) გავლენას უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობაზე?
- რამდენად იქონია გავლენა გლობალურმა პანდემიამ უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის კონტექსტზე?
- რა გავლენა აქვს სასკოლო განათლებას (სკოლის ტიპი) უმაღლესი განათლების საფეხურზე გადასვლისას?
- რა ძირითადი ფაქტორები განაპირობებენ სასკოლო საფეხურიდან უმაღლეს საფეხურზე უწყვეტად გადასვლას?
- რა გავლენას ახდენს სტუდენტების დასაქმების გამოცდილება უმაღლესი განათლების მიღებაზე?
- რა ტიპის გამოწვევების წინაშე დგანან სტუდენტები, როდესაც სწავლის საფასურის და სხვა საცხოვრებელი ხარჯების დაფარვა უწევთ?
- რა ფაქტორები უბიძგებთ სტუდენტებს, რომ შეიჩერონ სასწავლო სტატუსი?
- რა სახის დაბრკოლებები არსებობს სასწავლო რესურსებთან/მატერიალებთან მიმართებაში?
- რა გავლენა იქონია უფრო ფართოდ კორონავირუსის პანდემიამ უმაღლესი განათლებაზე?

მეთოდოლოგია

კვლევის მიზანს წარმოადგენდა სტუდენტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა. მიზნის მისაღწევად, ამოცანების შემუშავების ეტაპზე, განისაზღვრა სამი ძირითადი ეტაპი, რომელთა ჭრილობიდან ნაარსობრივი საკითხები გაანალიზდა:

- სკოლის ეტაპი
- სასკოლო საფეხურიდან საუნივერსიტეტო საფეხურზე გადასვლის ეტაპი
- უნივერსიტეტში სწავლის ეტაპი

კვლევის ამოცანები თითოეულ ზემოაღნიშნულ ეტაპზე, სხვადასხვა ცვლადთან მიმართებით, მიზნად ისახავდა რესპონდენტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებას. ამასთანავე, კვლევის ფარგლებში გაანალიზდა სტუდენტების დასაქმების შესაძლებლობა და გამოცდილება, საცხოვრებელი პირობები, კორონავირუსის გავლენა უნივერსიტეტში სწავლის პროცესზე და სამომავლო გეგმები.

შემუშავებული მიზნის მისაღწევად გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ ფოკუს-ჯგუფი. კვლევამ მოიცვა საქართველოს 7 დიდი ქალაქი: თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, გორი, ზუგდიდი, თელავი, ახალციხე. ქალაქების შერჩევა, საკვლევი საკითხიდან გამომდინარე, დაეფუძნა მათში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების არსებობას.

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები შეირჩნენ არააღბათური შერჩევის მოდელის, კერძოდ მიზნობრივი შერჩევის პრინციპის დაცვით. შერჩევის პროცესში განსაზღვრული იყო კვლევისთვის პრინციპულ კომპონენტთა შერჩევის მეთოდი. სულ კვლევის ფარგლებში ჩატარდა 24 ფოკუს-ჯგუფი, მათგან სამი - სტატუსშეჩერებულ სტუდენტებთან (რესპონდენტებად განისაზღვრნენ სხვადასხვა ქალაქის სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების წარმომადგენლები). თითოეულ ფოკუს-ჯგუფში მონაწილეობა მიიღო 6-8 რესპონდენტმა. ჯგუფები დაკომპლექტებული იყო, ერთი მხრივ, სახელმწიფო, ხოლო, მეორე მხრივ, კერძო უნივერსიტეტების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისგან.

ცხრილი. 1

რეგიონი	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ტიპი		რესპონდენტების რაოდენობა
	საჯარო	კერძო	
თბილისი	4	4	55
ბათუმი	3	1	32
ქუთაისი	2	2	36
გორი	1	-	11
ზუგდიდი	2	-	15
თელავი	1	-	10
ახალციხე	1	-	12
სტატუს შეჩერებული სტუდენტები	3		20
ჯამი:	24	7	191

ჩატარებული 24 ფოკუს-ჯგუფის გადანაწილება, ქალაქების მიხედვით, იხილეთ ცხრილში #1.

ჯგუფების შედგენისას გათვალისწინებული იყო შემდეგი შეზღუდვები და დაშვებები:

- დაუშვებელი იყო ერთ ფოკუს-ჯგუფში, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო უნივერსიტეტის სტუდენტების მონაწილეობა. დისკუსიები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ტიპის მიხედვით გაიმიჯნა.

ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით ჯგუფური დისკუსიები ჩატარდა დისტანციურად, ონლაინ პლატფორმა Zoom-ის გამოყენებით.

კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, ფოკუს-ჯგუფები წარიმართა სადისკუსიო გეგმის საფუძველზე, ამავდროულად, სადისკუსიო გეგმამ დაფარა რესპონდენტების სკოლაში სწავლის ეტაპი და იმდროინდელი გამოცდილება, რაც მათ/მათი ოჯახის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას შეეხებოდა. მსგავსი მიდგომა ემსახურებოდა საკვლევი საკითხის დინამიკაში შეფასებას, სტუდენტების მხარდამჭერი ჯგუფების გამოყოფას და სხვადასხვა მიმართულებით მათი დამოუკიდებლობის შესწავლას. ფოკუს-ჯგუფების შედეგად მიღებული ინფორმაცია რამდენიმე დონეზე გაანალიზდა - ერთმანეთს შედარდა კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა სხვადასხვა გეოგრაფიულ ერთეულებში მდებარე უნივერსიტეტების მიხედვით, ამავდროულად საკითხი ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტების პერსპექტივით შეფასდა. ცალკე გამოიყო სტატუსშეჩერებული პირების შეზღუდვები, რომლებიც აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე რესპონდენტების მოსაზრებებთან ბმავს იქნა განხილული.

1

უმაღლესი განათლება და სოციალური სამართლიანობა: ბარიერები ხელმისაწვდომობაზე (გლობალური და ადგილობრივი კონტექსტი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პოზიციას ეკონომიკასა და საზოგადოებაში აქვს ორმაგი ფუნქცია, რაც ხელს უწყობს მათი, როგორც ცვლილების აგენტის მნიშვნელობას. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ეკონომიკური პოლიტიკის კონტექსტში ცვლილებების ობიექტაცაა და აგენტიც. პირველ რიგში, ბოლონის პროცესი და ევროპა 2020 მიზნები ცხადყოფს, რომ უმაღლესი სასწავლებლები განიხილება, როგორც ცვლილებების მიმღებები პოლიტიკის პროცესში. საბოლოო ჯამში, უმაღლესი სასწავლებლები მიზნად ისახავს დაინტერესებული მხარეებისთვის (აკადემიური, საჯარო და კერძო) ცვლილებების მოტანას მათი კურსდამთავრებულების ცოდნის გაუმჯობესებით და ამ გზით, მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდით გლობალურ ეკონომიკაში. ეჭვგარეშეა, რომ ფინანსური დახმარება მნიშვნელოვან როლს თამაშობს დაბალი შემოსავლის მქონე სტუდენტებისთვის განათლებაზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობაში (სენტ ჯონი, 2003).

1.1 უმაღლესი განათლების დაფინანსების მოდელების მიმოხილვა: საჯარო და უმაღლესი განათლების პოლიტიკა გლობალურ კონტექსტში

ამ თავში გაანალიზებულია უმაღლესი სასწავლებლებში სწავლის საფასურის და სუბსიდიების პოლიტიკა. წინამდებარე მიმოხილვა აჩვენებს, რომ უმაღლესი განათლების დაფინანსების დონე მნიშვნელოვნად არის განსაზღვრული არა მხოლოდ უმაღლესი განათლებაზე გაწეული საბაზისო ხარჯებით, არამედ ამ ხარჯების მოცულობით, მისი განაწილების ფორმებითა და მისი მიმართებებით სტუდენტთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან. უმაღლესი განათლების დაფინანსების პოლიტიკის კვლევა, როგორც წესი, მინიმუმ ორ კატეგორიად შეიძლება დაიყოს. პირველი ჯგუფი უმაღლესი განათლების დაფინანსებას განიხილავს სტრუქტურულ და ეკონომიკურ ფაქტორებზე ფოკუსირებით, მაშინ როდესაც მეორე კატეგორია, თავდაპირველად, მხედველობაში პოლიტიკურ ფაქტორებს იღებს და მისგან გამომდინარე მსჯელობს უმაღლესი განათლების დაფინანსების მოდელზე. (Hall, P. A., & Soskice, D., 2001).

უმაღლესი განათლების დაფინანსება კავშირშია ისეთ ფაქტორებთან, როგორებიცაა სწავლის გადასახადის ოდენობა, საარსებო მინიმუმი, განათლებაზე დახარჯული საერთო დაფინანსება და მასში საჯარო თუ კერძო სუბსიდირების, ასევე, სტუდენტების მხრიდან გადახდილი (ე.წ. შინამეურნეობების) გადასახადები (ხელაია, 2018). იმის მიხედვით, თუ როგორია უნივერსიტეტებში სწავლის საშუალო გადასახადი და საჯარო სუბსიდირების რა წილი მოდის სტუდენტებზე, მკვლევრები უმაღლესი განათლების დაფინანსების სულ მცირე ოთხ მოდელს გვთავაზობენ:

I - სწავლის დაბალი გადასახადი - საჯარო სუბსიდირების დაბალი მოცულობა.

II - სწავლის დაბალი გადასახადები და საჯარო სუბსიდირების მაღალი მოცულობა.


III - სწავლის მაღალი გადასახადი, საჯარო სუბსიდირების მაღალი მოცულობა.

IV-სწავლის მაღალი გადასახადი, საჯარო სუბსიდირების დაბალი მოცულობა.

დიაგრამა 1.1

საჯარო უნივერსიტეტების სწავლის საშუალო გადასახადი და სტუდენტთა წილი, ვინც სარგებლობს საჯარო სუბსიდირების სისტემით (სესხი, სტიპენდია, გრანტი)

სწავლის საშუალო საფასური, რომელიც დაწესებულია საჯარო დაწესებულებებისთვის, აშშ დოლარში



მენიშვნები:

1. ისრებით ნაჩვენებია, თუ როგორ შეიცვალა სწავლის საშუალო საფასური და სტუდენტთა წილი, რომლებიც საჯარო სუბსიდირებით სარგებლობენ, 2010 წლისთვის, 1995 წელთან შედარებით.
2. მონაცემები აღწერილია ყველა სტუდენტისათვის (სრულ განაკვეთზე ადგილობრივი და სრულ განაკვეთზე მყოფი უცხოელი სტუდენტები).
3. სწავლის საფასური დიაგრამაზე ეხება საჯარო დაწესებულებებს, მაგრამ სტუდენტთა ორ მესამედზე მეტი ირიცხება კერძო დაწესებულებებში.
4. თუ მხოლოდ საჯარო დაწესებულებებს მივიღებთ მხედველობაში, სტუდენტთა წილი, რომლებიც სარგებლობენ სახელმწიფო სესხებით და / ან სტიპენდიებით / გრანტებით, უნდა იყოს 68%.

წყარო: OECD. ცხრილი B5.1 და B5.2. (www.oecd.org/edu/eag.htm).

უნივერსიტეტების მიერ დაწესებული სწავლის საფასური ქვეყნების მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდება. დიაგრამა 1.1 აჩვენებს, რომ სტუდენტთა უმრავლესობას, ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა ავსტრალია, იტალია, დიდი ბრიტანეთი, კანადა, საფრანგეთი, ირლანდია და სხვ., უწევთ სწავლის საფასურის თავიანთი ჯიბებიდან, ე.წ. „შინამეურნეობებიდან“ გადახდა. მაშინ, როცა კონტინენტური ევროპის ქვეყნებში, მათ შორის ფინეთში, გერმანიაშია თუ შვედეთში, უმაღლესი განათლების სწავლის საფასურისგან სტუდენტთა დიდი ნაწილი ან სრული უმრავლესობა გათავისუფლებულია. ქვეყნები, რომლებიც სწავლის მაღალი გადასახადის სისტემაზე მუშაობდნენ, 2009 წლამდე მნიშვნელოვნად გაზარდეს არსებული გადასახადი, მაშინ, როდესაც უსდის სწავლის დაბალი გადასახადის მქონე ქვეყნებში შენარჩუნდა ან კიდევ უფრო შემცირდა აღნიშნული გადასახადები¹ ($r=0.9$) (Garritzmman, 2016, გვ. 61-72). სწავ-

ლის საშუალო გადასახადისა და უმაღლესი განათლების სფეროში შინამეურნეობის დანახარჯების გვიჩვენებს, რომ სწავლის გადასახადის მოცულობის მიხედვით შესაძლებელია ქვეყნების სამ ჯგუფად დანაწილება. პირველ კატეგორიას მიეკუთვნება ქვეყნები, სადაც სწავლის გადასახადი არ არის დაწესებული და შესაბამისად, სტუდენტების შენატანები ნულოვანია. მეორე ჯგუფში ერთიანდება ქვეყნები, სადაც სტუდენტებს სწავლის საფასურის დიდი ოდენობის გადახდა უწევთ (მაგ. ავსტრალია, კანადა, სლოვენია, ბრიტანეთი, ირლანდია, საბერძნეთი), ხოლო, მესამე ჯგუფს მიაკუთვნებს ქვეყნებს, სადაც ძალიან მცირეა სტუდენტების შენატანი უმაღლესი განათლების დაფინანსებაში (მაგ. ბელგია, იტალია, ესპანეთი, თურქეთი).


სახელმწიფო სუბსიდირების მოცულობის და პროპორციულობის განსასაზღვრად, მკვლევრები სუბსიდირების სისტემას განიხილავენ, ერთი მხრივ, მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ), ხოლო, მეორე მხრივ, უმაღლესი განათლების მთლიან დანახარჯებთან მიმართებით. სუბსიდირების სისტემის აღნიშნულ ცვლადებთან მიმართება საშუალებას გვაძლევს დავინახოთ, თუ რეა-

¹ აღნიშნულ მონაცემებს ავტორი ამყარებს შინამეურნეობების დანახარჯების ანალიზით, რომელიც უშუალოდ მიემართება უმაღლესი განათლების დანახარჯებს.

ლურად სახელმწიფო ბიუჯეტის რა წილი მოდის უმაღლესი განათლების დაფინანსებაზე. ამავდროულად, სახელმწიფო შეიძლება რაოდენობრივად დიდი მოცულობის თანხას ხარჯავდეს სუბსიდირებაში, მაგრამ ეს არ წარმოადგენდეს უმაღლესი განათლების საერთო დანახარჯში დიდ მოცულობას და პირიქით, შეიძლება უმაღლესი განათლების საერთო დანახარჯში დიდი იყოს სახელმწიფო დანახარჯების წილი, მაგრამ მთლიანობაში ამ სფეროზე მიმართული სუბსიდიის მოცულობა იყოს მცირე. დიაგრამა 1.2-ზე დეტალურად არის წარმოდგენილი სუბსიდიების შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან და უმაღლესი განათლების დანახარჯებთან ქვეყნების მიხედვით.

დიაგრამა 1.2

სუბსიდირება მშპ-სთან და უმაღლესი განათლების საერთო დანახარჯებთან მიმართებაში.



წყარო: დანახარჯები უმაღლესი განათლების სფეროში, ეფუძნება 2008 წლის OECD-ის სტატისტიკურ მონაცემებს. (Garritzmman, 2016)

დიაგრამა 1.2-ის მიხედვით, სოციალ-დემოკრატიული და ლიბერალური, კეთილდღეობის ეკონომიკის მქონე ქვეყნები უფრო მეტს ხარჯავენ უმაღლესი განათლების სუბსიდირებაზე, ვიდრე ის ქვეყნები, სადაც ნეოლიბერალური, ან ავტორიტარული ნეოლიბერალიზმის ფორმა არის გავრცელებული. აღნიშნულს ადასტურებს სუბსიდირების მოცულობის შეფარდებითი მონაცემებიც მთლიან შიდა პროდუქტთან. განსხვავებული მდგომარეობაა კონტინენტურ ევროპასა და აზიური ქვეყნების ნაწილში, სადაც ნაკლებია სახელმწიფოს დანახარჯები (Garritzmman, 2016).

სახელმწიფოს მიერ სუბსიდირების გაწევა სულ მცირე ორ ფორმითაა შესაძლებელი. ერთი ეს არის მექანიზმი, სადაც სტუდენტებს უწევთ, რომ გარკვეული დროის შემდეგ უკან დააბრუნონ მიღებული სუბსიდია (და მას ამ შემთხვევაში აქვს სესხის ფორმა), ხოლო, მეორე შემთხვევაში, სტუდენტები სუბსიდირებას იღებენ, როგორც სტიპენდიას ან გრანტს, რომელიც არ ექვემდებარება დაბრუნებას (Johnstone, D. B. , 2009). განათლების კვლევებში უთანასწორობებზე მსჯელობისას

ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ სტუდენტები, რომლებიც დაბალი სოციალ-ეკონომიკური წინაპირობები აქვთ ან დაბალი ეკონომიკური შემოსავლების მქონე კლასს განეკუთვნებიან, უფრო მეტად არიან მიდრეკილები ქარბვალთან, ვიდრე სტუდენტები - მაღალი სოციალ-ეკონომიკური გარემოდან (Becker, R., & Hecken, A. E., 2009). ქარბვალთან კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რაც ხელს უშლის უმაღლესი განათლების მიღებას და მასზე სრულფასოვნად დროის დათმობას, რამდენადაც აუცილებელი საჭიროებებიდან გამომდინარე, სტუდენტებს თავიანთი დროის დიდი ნაწილის, სამუშაოს ძიებასა და დასაქმებაზე დახარჯვა უწევთ.² სუბსიდირების მექანიზმების გლობალური განაწილების კვლევები მიუთითებს რომ ქვეყნების უმრავლესობაში (65-70%) სუბსიდირება უფრო მეტად გრანტისა და სტიპენდიის სახით გვხვდება, ვიდრე სახელმწიფო სტუდენტური სესხების (Guadilla G. , 2000) (Gorski, 2018).

² იქვე, გვ. 246

1.2 სწავლის საფასურის და სუბსიდირების პოლიტიკა საქართველოში – მოკლე მიმოხილვა

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოში 200-მდე უნივერსიტეტი დაარსდა. თუმცა, 2009 წელს სავალდებულო ლიცენზირების მოთხოვნის შედეგად, 2011 წლისთვის უნივერსიტეტების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა. 2007 წელს საქართველოში 19 სახელმწიფო და 137 კერძო უნივერსიტეტი იყო რეგისტრირებული, ხოლო 2019 წლისთვის კერძო უნივერსიტეტების რაოდენობა 43-მდე შემცირდა, ხოლო სახელმწიფო უნივერსიტეტების რაოდენობა უცვლელი დარჩა. უმაღლეს განათლებას საქართველოში ახორციელებს სამი ტიპის დაწესებულება: უნივერსიტეტები, სასწავლო უნივერსიტეტები და კოლეჯები. უნივერსიტეტები სთავაზობენ უმაღლეს განათლებას და კვლევას სამივე საფეხურის მიმართულებით (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და სადოქტორო პროგრამები), სასწავლო უნივერსიტეტები სთავაზობენ მხოლოდ პირველ ორ დონეს (გარდა სადოქტორო საფეხურისა), ხოლო კოლეჯები სტუდენტებს მხოლოდ პირველი ხარისხის პროგრამებს სთავაზობენ. უნივერსიტეტში მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები. ამასთან, სახელმწიფო სტიპენდიის განაწილება ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

ამჟამად საქართველოში უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია - 19-20 წლის ახალგაზრდების 53% ირიცხება უმაღლეს სასწავლებლებში (ჩახაია, 2020 წ.). თუმცა, უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვანი განსხვავებები შეინიშნება სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით. არათანაბარი ხელმისაწვდომობის ერთ-ერთი მიზეზად განიხილება სწავლის მაღალი საფასური. საქართველოში უნივერსიტეტები ღიდწილად სწავლის საფასურზეა დამოკიდებული. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, სახელმწიფო დანახარჯები ერთ სტუდენტზე დაბალია მშპ-სთან მიმართებაში. კერძოდ, ამ მაჩვენებლით, საქართველოში უმაღლესი განათლების დაფინანსება მწირია (მშპ-ს 1%) ევროპისა და მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით და უმაღლესი განათლების დანახარჯების უმეტესი ნაწილს შეადგენს კერძო ხარჯები, კერძოდ, სტუდენტებისა და მათი ოჯახების მიერ გადახდილი სწავლის საფასური. ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სახელმწიფო გრანტების განაწილება უზრუნველყოფს, თუმცა ხშირ შემთხვევაში გრანტის მიმღებები არიან სოციალურად და ეკონომიკურად პრივილეგირებული ჯგუფები - ისინი, ვისაც აქვთ ფინანსური საშუალება, ისწავლონ კერძო სკოლებში და ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მოემზადონ კერძო რეპეტიტორებთან. ძლიერი ეკონომიკური ფონის მქონე სტუდენტები 2,86-ჯერ უფრო მეტად იღებენ სახელმწიფო დაფინანსებას. (ანდლუაძე, 2017 წ.). 2019 წლის მდგომარეობით, საქართველოში განათლების დაფინანსების წყაროების განაწილება შემდეგნაირად გამოიყურება: სახელმწიფო დაფინანსების მოცულობა უმაღლეს განათლებაში შეადგენს დაახლოებით 23%-ს, ხოლო მი-

ნამეურნეობების ხარჯები - 77%-ს (Word Bank, 2020). ეს ნიშნავს, რომ უმაღლესი განათლების ხარჯების მხოლოდ 35% ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, ხოლო დანარჩენი 65% - სტუდენტების ან მათი ოჯახები მხრიდან (ხელაია, 2018).

1.3 უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის პოლიტიკის შეფასება საქართველოში უფლებრივი პერსპექტივიდან

განათლების უფლება ერთ-ერთი ცენტრალური სოციალური უფლებაა, რომელიც ადამიანის უფლებათა კორპუსის მნიშვნელოვან კომპონენტს შეადგენს. განათლების უფლებაზე ხელმისაწვდომობა მჭიდროდ უკავშირდება სხვა უფლებებით ჯეროვან და ღირსეულ სარგებლობას და აუცილებელია თანამედროვე საზოგადოების განვითარებისა და კეთილდღეობისთვის. როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, „განათლების მიღების კონსტიტუციური უფლება წარმოადგენს ადამიანის ერთ-ერთ ძირითად სოციალურ უფლებას და ცივილიზებული კაცობრიობის აღიარებულ ღირებულებას.“³

განათლების უფლების შინაარსი და მისი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ფარგლები მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის მე-5 და 27-ე მუხლებში. პირველ შემთხვევაში, საქართველოს კონსტიტუცია განათლებას სოციალური სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად ასახელებს და მიუთითებს, რომ „სახელმწიფო ზრუნავს [...] განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაზე.“⁴ მართალია, აღნიშნული ნორმა კონსტიტუციის ზოგად დებულებებშია მოქცეული, თუმცა ის თავისთავად გამოსატყვის სახელმწიფოს სოციალური პასუხისმგებლობის იდეას განათლების უფლებით სარგებლობის, მისი ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაზრდის თვალსაზრისით.

მეტად დეტალიზებულია კონსტიტუციის 27-ე მუხლი, სადაც კონსტიტუცია კომპლექსურად ახდენს როგორც უფლებით დაცული სფეროს დეტალიზაციას, ასევე ამ უფლებით დაცული სიკეთით მოსარგებლე პირთა დიფერენციაციას. კერძოდ, ამ ნორმით მკაფიოდ არის განსაზღვრული განათლების უფლებით დაცული ისეთი სფეროები, როგორებიცაა სკოლამდელი აღზრდა, ზოგადი განათლების უფლება, უმაღლესი და პროფესიული განათლება. კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება ყველას აქვს.⁵ ამასთან, უფლებაზე ხელმისაწვდომობის სტანდარტს კონსტიტუცია განსხვავებუ-

3 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 4 აპრილის #1/2/414/განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ივანე პეტრიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“

4 საქართველოს კონსტიტუცია, მე-5 მუხლის მე-6 პუნქტი, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>, წვდომის თარიღი: 06.09.2021.

5 იქვე, 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

ლად უყურებს, ერთი მხრივ, დაწყებითი და ზოგადი განათლების, ხოლო, მეორე მხრივ, უმაღლესი და პროფესიული განათლების შემთხვევაში. კერძოდ, თუ ზოგად განათლებას სახელმწიფო სრულად აფინანსებს⁶ და, შესაბამისად, მასზე საყოველთაო ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს, უმაღლესი და პროფესიული განათლების შემთხვევაში კონსტიტუცია მიუთითებს მოქალაქეების უფლებაზე, „კანონით დადგენილი წესით, სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება.“⁷

ზემოაღნიშნული ნორმების მიხედვით, უმაღლეს და პროფესიულ განათლებაზე სოციალური და ფინანსური ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული სახელმწიფოს ვალდებულებები საკმარისად მკაფიო და კატეგორიული არ არის. ის უფლებით სარგებლობის მასშტაბებისა და მოცულობის განსაზღვრას კანონს გადასცემს. უმაღლესი განათლების შესახებ კანონის თანახმად, საქართველოს პარლამენტი განსაზღვრავს უმაღლესი განათლების პოლიტიკისა და მართვის ძირითად მიმართულებებს.⁸ ამ კუთხით საინტერესოა, რომ საქართველოში უმაღლესი განათლების განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ დადგენილება პარლამენტს 2002 წელს აქვს მიღებული. ბუნებრივია, ის არ პასუხობს უმაღლესი განათლების სისტემის თანამედროვე გამოწვევებსა და პრობლემებს.⁹ ეს ფაქტი, მათ შორის მიუთითებს, რომ სახელმწიფოს სათანადოდ არ აქვს დანახული განათლების პოლიტიკის ჩარჩო-დოკუმენტების მნიშვნელობა და სისტემური კავშირი როგორც ზოგად სოციალურ პოლიტიკასთან, ასევე ცალკეული სოციალური ჯგუფების წინაშე მდგარ გამოწვევებთან.

უმაღლესი განათლების შესახებ კანონი ხელმისაწვდომობის პრინციპის უზრუნველყოფას უმაღლესი განათლების ძირითადი მიზნების მიღწევის ერთ-ერთ აუცილებელ და ცენტრალურ კომპონენტად ასახელებს.¹⁰ ამ საკითხის, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილის განხორციელების ვალდებულება, საქართველოს მთავრობას აქვს.¹¹ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უმაღლესი განათლებაზე ხელმისაწვდომობა უმთავრესად დაიყვანება სახელმწიფოს მიერ სასწავლო გრანტების დამტკიცებაზე, რომელიც, თავის მხრივ, ლიმიტირებულია სოციალური და აკადემიური მახასიათებლების თვალსაზრისით.

კერძოდ, უმაღლესი განათლების შესახებ კანონით განსაზღვრულია, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფინანსების წყაროებია: „ა) სწავლის საფასური, რომელიც იფარება სახელმწიფო სასწავლო გრანტითა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით (მხოლოდ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე); ბ) გრანტის, შემოწირულების სახით ან ანდერძით მიღებული შემოსავლები; გ) საკონკურსო შერჩევის საფუძველზე სახელმწიფოს მიერ გაცემული სამეცნიერო-კვლევითი გრანტები; დ) სამინისტროების მიერ გამოყოფილი პროგრამული დაფინანსება; ე) ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსება; ვ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა, მათ შორის, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები.“¹² დაფინანსების ეს მექანიზმი საგრძნობლად განსხვავდება ევროპული ქვეყნების მოდელებისგან. საქართველოში სახელმწიფოს მიერ თითო სტუდენტზე გაცემული თანხა ფარავს მხოლოდ ე.წ. სწავლების საფასურს, რომელიც გაიცემა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე წარმატებულ სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით.¹³ ამდენად, განათლების უფლებაზე ხელმისაწვდომობა დანახულია არა სხვა სოციალურ საჭიროებებთან ბმაში, არამედ მხოლოდ სწავლის საფასურთან მიმართებით. ამასთანავე, ამავე კანონის თანახმად, სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში (სოციალური საჭიროებების საფუძველზე) სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების ოდენობა მთლიანი სასწავლო გრანტების დაფინანსების წლიური მოცულობის 6%-დან 20%-ის ფარგლებში უნდა მერყეობდეს,¹⁴ თუმცა ის ვერ ფარავს ყველა ეკონომიკურად გაჭირვებულ სტუდენტს.¹⁵ მთლიანობაში, ხელმისაწვდომობის გაზრდისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე კომპონენტი - სახელმწიფო დაფინანსების წილი - საქართველოში კატასტროფულად დაბალია, ევროკავშირის ქვეყნებთან მიმართებით.¹⁶

არსებული საკანონმდებლო და პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზით ირკვევა, რომ საქართველოში უმაღლესი განათლების მომწესრიგებელი ჩარჩო არ არის საკმარისად ინკლუზიური. კერძოდ, ის არ აჩვენებს სოციალურ მოწყვლადობას/გამოწვევებსა და განათლების უფლებას შორის სისტემურ კავშირსა და მისი რეგულირების გზებს ფინანსური ბარიერების დაძლევისათვის. საქართველოში სახელმწიფო უმაღლესი განათლება უმთავრესად ფასიანია, მასზე ხელმისაწვდომობის გაზრდისთვის კი სახელმწიფო გრანტების

6 იქვე, მე-2 პუნქტი.

7 იქვე, მე-2 პუნქტი.

8 საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=88>, წვდომის თარიღი: 06.09.2021.

9 საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოში უმაღლესი განათლების განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ, 2002, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/view/41236?publication=0>, წვდომის თარიღი: 06.09.2021.

10 საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

11 იქვე, მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

12 იქვე, 79-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

13 უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში, განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, 2013, გვ. 9, ხელმისაწვდომია: http://erasmusplus.org.ge/files/files/Strategic_Development%20of_HE_and_Science_in_Georgia.ge.pdf, წვდომის თარიღი: 07.09.2021.

14 იქვე, მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

15 მარიეტა იაკობაძე, უმაღლესი განათლების დაფინანსების უცხოური გამოცდილება და საქართველოს პრაქტიკა, 2019, გვ. 35, ხელმისაწვდომია: <https://openscience.ge/bitstream/1/422/1/samagistro%20iakobadze.pdf>, წვდომის თარიღი: 07.09.2021.

16 იქვე, გვ. 35.

გაცემის წესია მოაზრებული, რომელიც, თავის მხრივ, ლიმიტირებულია. ხელმისაწვდომობა, როგორც განათლების უფლების კომპონენტი, არ არის მოაზრებული ფართოდ - სტუდენტების სოციალური გაძლიერების, უმაღლეს განათლებაზე რეალური, საყოველთაო ხელმისაწვდომობის და სტუდენტთა სხვა სოციალური საჭიროებების ნაწილად. ამდენად, ხელმისაწვდომობის შინაარსი ფრაგმენტირებული და დავიწროებულია.

მნიშვნელოვანია, რომ საკანონმდებლო და პოლიტიკის დოკუმენტების დონეზე განათლების უფლების დანახვა მოხდეს ფართოდ, როგორც ზოგადი სოციალური პოლიტიკის და არაპრივილეგირებული ჯგუფების სოციალური გაძლიერების სტრატეგიის ნაწილად. ამის ფუნდამენტურ საფუძველს იძლევა საქართველოს კონსტიტუცია, რომლის სისტემური განმარტების შემთხვევაში უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობა სოციალური სახელმწიფოს ერთ-ერთ ცენტრალურ შემადგენლად დაინახება. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობაც, რომელიც უმაღლესი განათლების უფლების განსაკუთრებულ მნიშვნელობას და სახელმწიფოს ვალდებულებებს უსვამს ხაზს. კერძოდ, ერთ-ერთი გადაწყვეტილების მიხედვით, „უმაღლესი განათლების მიღება პრევალირებს ყველა სხვა უფლებაზე, თუკი რეფორმა არ არის სპონტანური და გაუთვლელი. ამასთან სახელმწიფო ადამიანის უმაღლესი განათლების კონსტიტუციური უფლებიდან გამომდინარე, ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა, მათ შორის სხვა უფლებების შეზღუდვის ხარჯზე, თუკი უმაღლესი განათლების სისტემას [...] გააჩნია მცირე დაფინანსება და პერსონალის სიჭარბე, სწავლებისა და კვლევის ცუდი პირობები, მოძველებული სასწავლო გეგმები, დაბალი სასწავლო და პედაგოგიური სტანდარტები, ვიწრო სპეციალიზაცია, არასრულყოფილი საგამოცდო სისტემა, კორუფცია, ელიტურობა და არაელიტური ფენის წარმომადგენლებისათვის უმაღლესი განათლების მიღების ნაკლები შესაძლებლობების მიცემა.“¹⁷

ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტიც, რომ უმაღლესი განათლების პოლიტიკის რეფორმის ნაწილში საქართველოს მნიშვნელოვანი ვალდებულებები აქვს ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმების საფუძველზე. ასოცირების შეთანხმების 358-ე და 359-ე მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, ქვეყნისათვის პრიორიტეტულია მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლების, აკადემიურ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერების, საერთაშორისო მობილობის ზრდის, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის, განათლების ყველა საფეხურის რელევანტურობისა და ხელმისაწვდომობის, ასევე კვალიფიკაციისა და კომპეტენციის აღიარების მიმართულებით პროგრესის ხელშეწყობა.¹⁸ ამასთან, ასოცირების შე-

თანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმართულებები ასახულია საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ „განათლებისა და მეცნიერების განვითარების ერთიანი სტრატეგია 2017-2021“-ში.¹⁹ აღსანიშნავია, რომ 2020 წლის მდგომარეობით, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისთვის „კვალიფიკაციების ევროპული ჩარჩოს“ ჩამოყალიბების თაობაზე (2017/C 189/03) შესრულების პროცესი, რაც თავის მხრივ, გულისხმობს განათლების ყველა საფეხურის რელევანტურობისა და ხელმისაწვდომობის ხელშეწყობას, მიმდინარეობს მნიშვნელოვანი ხარვეზებით.²⁰ შესაბამისად ფერხდება ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების პროცესი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით უნდა ითქვას, რომ საქართველოს პარლამენტის, მთავრობისა და განათლების სამინისტროს ერთობლივი მუშაობით უნდა გადაიდგას სისტემური ნაბიჯები უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგიის შემუშავებისთვის. ხელმისაწვდომობის პოლიტიკა და შესაბამისად, განათლების უფლება, აქ დანახული უნდა იყოს ფართოდ, როგორც სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთ ცენტრალურ ნაწილად, ხოლო მისი რეალიზებისთვის შემუშავებული უნდა იყოს ადეკვატური სამართლებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გზები. მნიშვნელოვანია, რომ ეს პროცესი არ უნდა იყოს ფრაგმენტირებული, არამედ ის სისტემურად უნდა ხედავდეს უმაღლესი განათლების როლს საზოგადოების კეთილდღეობის და სოციალური გაძლიერების გზაზე.

შეჯამებისთვის, შეიძლება ითქვას, რომ უმაღლესი განათლების დაფინანსების მოდელი მნიშვნელოვან გადახედვას საჭიროებს, რაც უმთავრესად დაკავშირებულია სახელმწიფოს მხრიდან განათლების უფლებით სარგებლობის პროცესში სტუდენტების სოციალური საჭიროებების და კეთილდღეობის როლის გააზრებასთან.

¹⁷ თეიმურაზ ტულუში, გიორგი ბურჯანაძე და სხვები, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, 1996-2012 წლების სასამართლო პრაქტიკა, თბილისი, 2013, გვ. 488.

¹⁸ გიორგი მაჩაბელი, თამარ სანიკიძე და სხვები, საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების, მთელი სიცოცხლის

მანძილზე სწავლის ხელშეწყობისათვის ადებული ვალდებულებების შესრულების შეფასება, 2020, გვ. 4, ხელმისაწვდომია: <http://eppm.org.ge/wp-content/uploads/2020/09/Report.pdf>, წვდომის თარიღი: 06.09.2021.

¹⁹ განათლებისა და მეცნიერების განვითარების ერთიანი სტრატეგია 2017-2021, ხელმისაწვდომია: https://www.mes.gov.ge/uploads/MESStrategy_2017-2021.pdf, წვდომის თარიღი: 06.09.2021.

²⁰ გიორგი მაჩაბელი, თამარ სანიკიძე და სხვები, დასახელებული ნაშრომი, გვ. 21.

ძირითადი მიზნები:

- საქართველოს უმაღლესი განათლების დაფინანსების სისტემა მიეკუთვნება სწავლის მაღალი საფასურისა და დაბალი სახელმწიფო სუბსიდიების მოდელს.
- უმაღლესი განათლების სისტემა საქართველოში ძირითადად დამოკიდებულია შინამეურნეობების შენატანებზე.
- განათლების ხელმისაწვდომობის არსებული მაჩვენებლები ეწინააღმდეგება ადგილობრივ უფლებრივ და სამართლებრივ ინსტრუმენტებს, სადაც განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა აღიარებულია საკანონმდებლო დონეზე.

2

განათლებაზე ხელმისაწვდომობა და სტუდენტთა სოცო-ეკონომიკური მდგომარეობა

2.1 სტუდენტთა სოცო-ეკონომიკური ფონი და გადასვლა უმაღლესი განათლების საფეხურზე

სკოლის ტიპი და მისი მნიშვნელობა უმაღლესი განათლების საფეხურზე მოსახვედრად

ევროსტატის სტუდენტური გამოკითხვის მიხედვით VII, სტუდენტების უმრავლესობა (67%) აგრძელებს სწავლას უმაღლესი განათლების საფეხურზე უშუალოდ სკოლის დამთავრების შემდეგ (ერთ წელზე ნაკლები ინტერვალით), საშუალოდ 17%-ს სჭირდება 1-დან 2 წლამდე, ხოლო დანარჩენს - 17%-ს 2 წელზე მეტი. შესწავლილ ქვეყნებს შორის საქართველო პირველ ადგილზეა უმაღლეს სასწავლებლებში პირდაპირი ჩარიცხვის მხრივ - სტუდენტთა 92% მსგავს პრაქტიკას ავლენენ. შესაბამისად, სტუდენტების წილი, რომლებიც მხოლოდ გარკვეული პერიოდის შემდეგ ირიცხებიან უმაღლეს სასწავლებლებში, საერთო რაოდენობის 10%-საც კი არ აღწევს.

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს იმ მიზეზებსა და გარემო-პირობებზე, რომლებიც ინდივიდს სკოლის დასრულების შემდეგ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პირდაპირ ჩაბარებისკენ უბიძგებს.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან კონტექსტად სტუდენტებმა დასაქმება განიხილეს. მათი შეფასებით, უმაღლესი განათლების გარეშე საქართველოში დასაქმება და მით უმეტეს წარმატების მიღწევა შეუძლებელია. მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების მიღებისას ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს სამომავლო დასაქმება წარმოადგენდა, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ რეალურად მათი მოლოდინი არ გამართლდა. როგორც თავად მიუთითეს, უმაღლესი განათლების მიღება პირდაპირ არ უკავშირდება დასაქმებას და განსაკუთრებით მაღალანაზღაურებად სამსახურს.

„მეც იმიტომ ჩავაბარე უმაღლეს სასწავლებელში, რომ შემდეგ კარგი ანაზღაურება მქონოდა. მაგრამ ახლა რომ ვაკვირდები, უმაღლესი განათლება (თუნდაც მაგისტრატურის საფეხურზე) არ უკავშირდება აუცილებლად კარგ დასაქმებას.“ (სამაგისტრო საფე-

ხურის სტუდენტი, სახელმწიფო უნივერსიტეტი)

დასაქმებასთან ერთად, მნიშვნელოვან ფაქტორად ოჯახი გამოიყო. ფოკუს-ჯგუფების რამდენიმე მონაწილემ ისაუბრა საკუთარ გამოცდილებაზე, როდესაც სწორედ ოჯახმა აიძულა უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება. დისკუსიის ფარგლებში გამოიკვეთა მოსაზრება, რომ ოჯახისთვის სირცხვილია, თუკი შვილი პირდაპირ არ გააგრძელებს სწავლას. რესპონდენტებმა ისაუბრეს ზოგადად არსებულ სიტუაციაზე, რომ ძირითად შემთხვევაში სწორედ ოჯახი არ აძლევს აბიტურიენტს საშუალებას სკოლის დასრულების შემდეგ 1-2 წელი სწავლა შეწყვიტოს, გაერკვას საკუთარ ინტერესებში და მხოლოდ ამის შემდეგ უკვე მიზანმიმართულად ჩააბაროს. როგორც ჩანს, აბიტურიენტების მიმართ განსხვავებული სოციალური მოლოდინი არსებობს, განსაკუთრებით მაშინ, თუკი საქმე განათლების მიღებას ეხება. სწორედ ამ გაუაზრებელი ჩაბარების გამო, რესპონდენტების ნაწილის შეფასებით, ზოგჯერ სტუდენტი სწავლას თავს ანებებს, რადგან სწავლის პროცესით კმაყოფილი არ არის.

ზემოთ განხილული მიზეზების გარდა, რესპონდენტების ნაწილმა ყურადღება გაამახვილა ქართულ კულტურულ კონტექსტზე, რომელიც, თავისი არსით, ძირითად შემთხვევაში უწყვეტ განათლებას გულისხმობს, მით უმეტეს სკოლის საფეხურიდან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაბარების ეტაპზე. ფოკუს-ჯგუფების მონაწილეების შეფასებით, ზოგიერთ აბიტურიენტს არ სურს სწავლის გაგრძელება, თუმცა, ერთი მხრივ, ოჯახის, მეორე მხრივ კი, გარშემომყოფების დამოკიდებულების გამო მაინც იღებენ ამ გადაწყვეტილებას და აბარებენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. დისკუსიის მონაწილეებმა ისაუბრეს იმ სტრესზე, რაც გამოცდების ჩაბარებას ახლავს თან - ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, როგორც სკოლის დამამთავრებელი, საატესტატო, გამოცდების ჩაბარება, აგრეთვე, გარშემომყოფების დამოკიდებულება. როგორც აღინიშნა, აბიტურიენტობის პერიოდში ყველა ინტერესდებოდა მიღებული ქულებით, სამომავლო გეგმით, პროფესიით და ა.შ.

„ხალხი ფიქრობს, რომ ვინც ვერ აბარებს უმაღლესში ეს ძალიან დიდი სირცხვილია... ყველა იმას კითხულობდა, თუ როგორ ჩავაბარე, რა ქულებით ჩავაბარე

და ა.შ. ყველა დაინტერესებულია ამით.“ (საბაკალავრო საფეხურის სტუდენტი, კერძო უნივერსიტეტი)

დისკუსიის მონაწილეებმა ისაუბრეს უწყვეტი განათლების კუთხით არსებულ სტერეოტიპებზე, თითქოს ნებისმიერ აბიტურიენტს სურს, სწავლის გაგრძელება. ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა ნაწილის შეფასებით, ბევრ მოსწავლეს, რომლებიც სკოლაში წარჩინებით სწავლობენ, რეალურად არ სურთ პირდაპირ, წყვეტის გარეშე, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაბარება. თუმცა, გარემომდებლებისგან ისეთ წნეხს აწყდებიან, რომ ხშირად ფსიქოლოგიურად ვერ უძლებენ და მხოლოდ მათი აზრის გამო აგრძელებენ უნივერსიტეტში სწავლას.

მსგავსი მიდგომა პრობლემურად ვლინდება პროფესიის ქრილში. დისკუსიის მონაწილეების შეფასებით, იშვიათია, როდესაც აბიტურიენტს მკაფიოდ აქვს ჩამოყალიბებული თუ რისი კეთება სურს სამომავლოდ და მიზანმიმართულად აბარებს კონკრეტულ პროფესიაზე. რესპონდენტების დიდი ნაწილის აზრით, როგორც წესი, აბიტურიენტს არ აქვს პროფესია წინასწარ განსაზღვრული და აბარებს იმ ფაკულტეტზე, სადაც მოხვდება ან სადაც დასაქმების მეტ შესაძლებლობას ხედავს. თუმცა, მსგავს შემთხვევაში სტუდენტი რეალურად ვერ ახერხებს სწავლას, კარგავს ინტერესს და ღრის. აქვე გასათვალისწინებელია ეკონომიკური ფაქტორიც. დისკუსიის მონაწილეებმა გამოყვეს ისეთი ფაქტები, როდესაც აბიტურიენტმა ვერ მოახერხა გამოცდებისთვის სრულყოფილად მომზადება, გაუაზრებლად ჩააბარა, სახელმწიფო დაფინანსება ვერ მიიღო და თან ისეთ მიმართულებაზე სწავლობს, რომელიც მას არ აინტერესებს. ასეთ შემთხვევაში გარდა იმ სუბიექტური პრობლემის და დისკომფორტისა, რაც შესაძლოა თავად სტუდენტს ჰქონდეს, მძიმე მდგომარეობაში ექვევა ოჯახიც, რომელიც სტუდენტობის საწყის ეტაპზე, უმეტეს შემთხვევაში, დაფინანსების ერთადერთ წყაროს წარმოადგენს.

„როგორც წესი მოსწავლეებმა არ იციან რაზე უნდათ ჩაბარება. უბრალოდ, თითქოს დადგენილია, რომ სკოლის მერე პირდაპირ უნდა ჩააბარო და აბარებენ კიდეც. მაგრამ ვერც გრანტს იღებენ და საბოლოოდ მაინც ოჯახს უწევს ხარჯის გაწევა, რომ შვილის სწავლის ფული გადაიხადოს. გამოდის, რომ სტუდენტებს არ მოწონთ რასაც სწავლობენ, არ ესმით და მშობლები ტყუილად იხდიან ფულს, იმიტომ რომ ბავშვი მისთვის სასურველ განათლებას ვერ იღებს და პროფესიას ვერ უფლება.“ (სამაგისტრო საფეხურის სტუდენტი, სახელმწიფო უნივერსიტეტი)

დისკუსიაში იმ პირებმაც მიიღეს მონაწილეობა, ვისთვისაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაბარება სავალდებულო სამხედრო სამსახურისგან თავის დაღწევის ერთადერთი საშუალება იყო.

დისკუსიაში მონაწილე პირების ნაწილს მიაჩნია, რომ სკოლის შემდეგ შესვენება აუცილებელია, რათა აბიტურიენტმა სწორად განსაზღვროს, თუ რა მიმართულებით სურს სწავლის გაგრძელება. საგულისხმოა,

რომ მსგავსი შეფასება უმეტესწილად რესპონდენტების გამოცდილებას არ ეფუძნება. მხოლოდ ერთეული შემთხვევა იყო ფოკუს-ჯგუფების ფარგლებში, როდესაც ინდივიდმა 1-წლიანი შესვენება აიღო და მხოლოდ შემდეგ ჩააბარა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. დისკუსიის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ მსგავსი გადაწყვეტილება აბიტურიენტს დაეხმარება პროფესიის ადეკვატურად შერჩევაში, რადგან შესაძლოა ამ პერიოდში სხვადასხვა კურსი გაიაროს, პრაქტიკული ცოდნა მიიღოს და შემდეგ უკვე მიზანმიმართულად ჩააბაროს. როგორც ჩანს, ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა შორის ისეთი სტუდენტებიც იყვნენ, რომლებიც ნაწილად საკუთარ გადაწყვეტილებას პროფესიის არჩევისთან დაკავშირებით, რასაც უნივერსიტეტში არსებული გარემო-პირობები კიდევ უფრო ამძაფრებს, რამდენადაც აბიტურიენტების მოლოდინს არ შეესაბამება.

„კარგი იქნება, თუ 1 წელი მაინც დაიცდის აბიტურიენტი და კარგად გაერკვევა საკუთარ თავში რომელ პროფესიაში უნდა ჩაბარება, მე მაგალითად ვნახობ, რადგან რასაც ველოდი ის არ დამხვდა და მე შევიცვლიდი პროფესიას, ამის შესაძლებლობა რომ მქონდეს.“ (საბაკალავრო საფეხურის სტუდენტი, კერძო უნივერსიტეტი)

როგორც აღმოჩნდა, არსებული სოციალური წნეხი, ზეწოლა იმდენად ძლიერია, რომ ხშირად აბიტურიენტები სხვაგვარად ფიქრობენ საკუთარ სამომავლო განათლებაზე, თუმცა, მაინც პირდაპირ, წყვეტის გარეშე აგრძელებენ სკოლის შემდეგ სწავლას. რესპონდენტების ნაწილი იზიარებს შეხედულებას, რომ, ზოგადად განათლება, და მით უმეტეს უმაღლესი განათლება, არ არის ყველასთვის სავალდებულო. მის ალტერნატივად პროფესიული განათლება დასახელდა, თუმცა, აღინიშნა, რომ მის მიმართ საზოგადოებაში შედარებით ნეგატიური დამოკიდებულება არსებობს. კვლავ გასათვალისწინებელია ქვეყნის კონტექსტი. როგორც აღინიშნა, საქართველოში უმაღლესი განათლება ერთგვარ პრესტიჟს უკავშირდება და არავის უნდა მის მიღმა დარჩენა. მართალია, დისკუსიის ფარგლებში გამოიკვეთა მოსაზრება, რომ შესაძლოა ინდივიდმა პროფესიული განათლების მიმართულებით გააგრძელოს სწავლა და მეტი უნარები შეიძინოს, ვიდრე უნივერსიტეტში მოახერხებდა, თუმცა, მსგავსი გადაწყვეტილება საზოგადოების მხრიდან წახალისებული არ არის. როგორც რესპონდენტების ნაწილმა აღნიშნა, გარემო არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ინდივიდმა უმაღლესი განათლებაზე უარი თქვას და პროფესიული მიმართულებით გააგრძელოს სწავლა.

დისკუსიის ფარგლებში მაგისტრანტებმა ისაუბრეს საბაკალავრო საფეხურიდან მაგისტრატურის საფეხურზე უწყვეტად გაგრძელების მიზეზებზე. ამ შემთხვევაშიც ორი დომინანტური კატეგორია გამოიკვეთა: დასაქმება და ოჯახი. ის პირები, რომლებსაც სურდათ ამ ორ საფეხურს შორის შუალედის აღება, მიიჩნევენ, რომ მაგისტრის ხარისხის გარეშე მაღალანაზღაურებად სამსახურში ვერ დასაქმდებიან, რაც მათი ფინანსური დამოუკიდებლობისთვის ბარიერს წარმოადგენს.

სწავლის ამ საფეხურებს შორისაც იდენტური პრობლემები იკვეთება, რაც სკოლის დასრულების შემდეგ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაბარებისას. ბაკალავრის ხარისხის მქონე პირებს, არსებული მდგომარეობიდან და სოციალ-ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, არ აქვთ დრო და საშუალება, რომ დაგეგმონ საკუთარი მომავალი სხვაგვარად და სამსახურის დაკარგვის ან უმუშევრად დარჩენის შიშის გამო ინერციით აგრძელებენ სწავლას მაგისტრატურის საფეხურზე.

„ვფიქრობ, რომ მიუხედავად ჩვენი სურვილებისა, რომ გავიზროთ, თუ სად და როგორ გვინდა ჩაბარება ან სწავლის გაგრძელება, მაინც გვიწევს გადაწყვეტილება მივიღოთ სწავლის გაგრძელების, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება სამსახურის გარეშე დავრჩეთ.“ (სამაგისტრო საფეხურის სტუდენტი, საელმწიფო უნივერსიტეტი)

ფოკუს-ჯგუფების მონაწილე ზოგიერთმა მაგისტრანტმა კვლავ ოჯახის მხრიდან ძალდატანებაზე ისაუბრა. კონკრეტული რესპონდენტების გამოცდილებით, თუკი ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ მაგისტრატურაში არ ჩააბარებდა, მას მოუწევდა დედაქალაქის დატოვება და კვლავ რეგიონში დაბრუნება. ამ მხრივ ხაზი გაესვა ოჯახზე ფინანსურ დამოკიდებულებასაც.

ბოლო 3 წლის განმავლობაში, ბაკალავრიატის საფეხურზე ჩარიცხვის 5.8% მოდის იმ სტუდენტებზე, რომლებსაც უკვე აქვთ უმაღლესი განათლების ხარისხი. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020) ბაკალავრიატის საფეხურზე მრავალჯერადი შესვლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის სამხედრო სავალდებულო სამსახურის თავიდან აცილება

ძირითადი მიზეზები:

- კერძო და საჯარო სკოლას შორის მნიშვნელოვანი განმასხვავებელი რესურსები და შესაძლებლობებია. ამასთან მნიშვნელოვანი განსხვავებაა კლასში მოსწავლეთა რაოდენობასა და პედაგოგთა დამოკიდებულებებს შორის, კერძოდ, საჯარო სკოლაში არსებობს მოლოდინი, რომ მოსწავლე ყველა საგანში დამატებით მოემზადება.
- სკოლის შემდეგ უნივერსიტეტში უწყვეტად ჩაბარებაზე გავლენას ახდენს საზოგადოება. აბიტურიენტები და მათი ოჯახის წევრები სოციალური წნეხის ქვეშ ექცევიან და შესაძლო ნეგატიური დამოკიდებულების შიშის გამო ხშირად უნივერსიტეტში სწავლას დაუფიქრებლად აგრძელებენ.
- საბაკალავრო საფეხურიდან მაგისტრატურაზე სწავლის უწყვეტად გაგრძელების მნიშვნელოვან მოტივად დასაქმების გაზრდილი შესაძლებლობა დასახელდა. ამ ეტაპზეც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ოჯახის გადაწყვეტილება, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუკი სწორედ პირველადი ჯგუფი არის სწავლის დაფინანსების ერთადერთი ან ერთ-ერთი ძირითადი წყარო.
- უმაღლესი განათლება მამრობითი სქესის სტუდენტების მიერ სავალდებულო სამხედრო სამსახურისგან თავის დაღწევის ერთ-ერთ საშუალებად დასახელდა.

2.2 სტუდენტთა შემოსავლები და დანახარჯები: დასაქმება, საცხოვრისი და სწავლის გადასახადი

სტუდენტების გამოცდილება დასაქმების ჭრილში: აუცილებელი საჭიროება თუ პროფესიული განვითარების სურვილი?

როგორც 2.1 თავში აღინიშნა, უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის ერთ-ერთი მთავარი მოტივაცია მომავალში პროფესიული კუთხით დასაქმების შესაძლებლობაა. თუმცა, ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი ან სამუშაოს მაძიებელია, ან მუშაობს არაფორმალურ და დროებით სამუშაოებზე, პირადი და პროფესიული განვითარების შესაძლებლობის გარეშე. მათი პროფესიის მიღმა მუშაობა დაბალანაზღაურებდა, დაბალკვალიფიციურ სამუშაოებზე, კარიერული წინსვლის პერსპექტივასაც მნიშვნელოვნად ამცირებს (შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, 2005).

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეების შეფასებით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლება დასაქმებისთვის საჭირო უნარებსა და ცოდნას ვერ უზრუნველყოფს. ამ შემთხვევაში ყურადღება გამახვილებულია პროფესიით დასაქმებაზე. რესპონდენტების გამოცდილებით, უნივერსიტეტში მიღებული ცოდნით სტაჟირებადაც კი უჭირთ მუშაობის დაწყება. არაერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ ერთადერთი გამოსავალი მომსახურების სფეროში დასაქმებაა, რაც რეალურად მათ სპეციალობას არ შეესაბამება. რესპონდენტებმა ყურადღება გაამახვილეს უნივერსიტეტის მიერ თეორიული ცოდნის მიწოდებაზე და ხაზი გაუსვეს პრაქტიკული საგნების ნაკლებობას, რაც შესაძლოა მათი დასაქმებისთვის ხელშემწყობ გარემოებად განხილულიყო.

„ვფიქრობ, რომ უნივერსიტეტში მიღებული განათლება ვერ უზრუნველყოფს იმას, რომ ჩემი პროფესიით სადმე დავსაქმდე. სტაჟირებაზეც რომ ვაგზავნი, ხშირად მეუბნებიან, რომ ჩემი ცოდნა არ არის საკმარისი სტაჟირების გავლისთვისაც კი.“ (ბაკალავრიატის სტუდენტი, კერძო უნივერსიტეტი)

რესპონდენტები, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობენ ან სხვადასხვა სპეციფიკის კერძო შეკვეთებს იღებენ და შესაბამისად შედარებით თავისუფალი გრაფიკით უწევთ მუშაობა, სწავლისა და სამსახურის შეთავსებას მარტივად ახერხებენ. მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ სწავლა დისტანციურ რეჟიმში მიმდინარეობს და ლექცია-სემინარებზე ფიზიკურად დასწრება არ უწევთ. დისკუსიის ის მონაწილეები, რომლებიც სწავლის პარალელურად დასაქმებულები არიან, დროის მენეჯმენტის პრობლემაზე საუბრობენ, რაც ზოგიერთ შემთხვევაში სამსახურის საქმის შესრულებაზე ახდენს ნეგატიურ გავლენას, ზოგჯერ კი - სწავლის პროცესსა და შედეგებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ფოკუს-ჯგუფების არაერთ მონაწილეს უჭირს დასაქმებისა და სწავლის შეთავსება, ანაზღაურებადი სამსახური მათთვის, ერთი მხრივ,

სწორედ სწავლის საფასურის გადახდის, ხოლო, მეორე მხრივ, ყოველდღიური და ყოველთვიური ხარჯების დაფარვის ერთ-ერთი საშუალებაა. იმის გამო, რომ ოჯახი აქტიურადაა ჩართული სწავლის საფასურის გადახდაში, ხშირად პარალელურად ვეღარ ახერხებენ სტუდენტების ყოველდღიური ხარჯების გაწევას. ამდენად, დამატებით გადასახადებს მარტო მცხოვრები სტუდენტები ძირითად შემთხვევაში თავად იხდიან, რისთვისაც ანაზღაურებად სამსახურში დასაქმება აუცილებელია.

„მეორე გზაა, რომ სამსახური მივატოვო და სწავლა გაგრძელო, მაგრამ შემოსავლის გარეშე ვერც სწავლას გადავიხდი და ვერც მიმდინარე ხარჯების დაფარვას შევძლებ.“ (ბაკალავრიატის სტუდენტი, კერძო უნივერსიტეტი)

ზოგიერთი სტუდენტის გამოცდილებით, არსებული მდგომარეობიდან ერთ-ერთი გამოსავლად ზაფხულში მუშაობა და თანხის შეგროვება განიხილება, რომლის საშუალებითაც სტუდენტი სწავლის გადასახადის გადახდას მოახერხებს. ასეთ შემთხვევაში მიმდინარე ხარჯების დაფარვაში ოჯახი ერთვება. განსაკუთრებით პრობლემურად მომსახურების სფეროში დასაქმება განიხილება, რადგან, როგორც დისკუსიის მონაწილეებმა ისაუბრეს, ამ მიმართულებით მომუშავე სტუდენტებს არანაირი დროითი შეღავათები და ხელშეწყობა არ აქვთ. თუმცა, მეორე მხრივ, მსგავსი გამოცდილების მქონე პირებმა მიუთითეს, რომ ამ სამსახურის გარეშე ვერც სწავლის საფასურს გადაიხდიდნენ და ვერც სწავლის შემდგომ საფეხურზე შეძლებდნენ ჩაბარებას.

„მომსახურების სფეროში ვარ დასაქმებული და დაახლოებით 10 საათი მიწევს დღიურად მუშაობა. ვიქნები გულწრფელი და პანდემიამ ეს ვითარება უფრო შემძისუბრა, რადგან ტელეფონში ვრთავ ლექციას და მაინც ვახერხებ რომ თან ვიმუშაო.“ (მაგისტრანტი, სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ფოკუს-ჯგუფების რესპონდენტების ნაწილმა მძიმე სამუშაო პირობებზე ისაუბრეს. გარდა იმისა, რომ ძირითად შემთხვევაში უჭირთ სწავლისა და სამსახურის შეთავსება, უშუალოდ გაწეულ საქმესა და ანაზღაურებას შორისაც დიდი დისბალანსია. კვლევაში მონაწილე დასაქმებული სტუდენტების ნაწილს ფიქსირებულზე მეტი საათის მუშაობის გამოცდილება აქვს, რაც უარყოფითად აისახება მათ ყოველდღიური ცხოვრებაზე, განსაკუთრებით კი სწავლის პროცესზე. ზოგიერთ სტუდენტს აქვს გამოცდილება, როდესაც დღის განმავლობაში 8 საათი მუშაობდა, თუმცა ფიქსირებული ანაზღაურება არ ჰქონდა და მისი ყოველთვიური შემოსავალი დაახლოებით 200 ლარს უტოლდებოდა. სამუშაო საათების გათვალისწინებით, რესპონდენტი სრულ განაკვეთზე მუშაობდა, თუმცა მისი ანაზღაურება ყოველთვიური ხარჯების დაფარვისთვისაც კი არ იყო საკმარისი. მომსახურების სფეროში დასაქმებული ზოგიერთი სტუდენტის შეფასებით, სამსახური არა თუ სწავლის მხრივ არ უწყობს ხელს, არამედ პანდემიის პირობებში სამართლიან სამუშაო პირობებსაც კი არ სთავაზობდა.

„ვმუშაობ ერთ-ერთ სუპერმარკეტში მოღარე ოპერატორად. ძალიან მძიმე პირობებია, მაგალითად, პანდემიის დროს როდესაც კომენდანტის საათი იყო დაწესებული, მიწევდა ბოლო წუთამდე მუშაობა და შემდეგ მაღაზიაში დარჩენა, რადგან სახლში ფიზიკურად ვერ მოვასწრებდი წასვლას, ამასთან, არც ტრანსპორტი და სამკვი სამსახურს არ გაუკეთებია. თუმცა მაინც ვცდილობდი, რომ ლექციები არ გამეცდინა. ძალიან რთულია სწავლისა და სამსახურის შეთავსება საქართველოში.“ (ბაკალავრიატის სტუდენტი, სახელმწიფო უნივერსიტეტი)

სწავლისა და სამსახურის შეთავსების მხრივ, ფოკუს-ჯგუფების ზოგიერთმა მონაწილემ ქვეყანაში არსებული პანდემია პოზიტიურ ქრილში განიხილა. იმის გამო, რომ სწავლა დისტანციურ რეჟიმში მიმდინარეობს, მომსახურების სფეროში დასაქმებული პირებიც კი ახერხებენ ლექცია-სემინარებზე დასწრებას, თუმცა ცოდნის მიღების ხარისხი არ არის იმდენად სრულყოფილი, როგორც აუდიტორიაში სწავლისას იქნებოდა.

დასაქმებისა და ფინანსური საკითხების განხილვასთან ერთად, კვლევის ფარგლებში სტუდენტური ან სამომხმარებლო სესხის აღების გამოცდილებაც შეფასდა. როგორც აღმოჩნდა, დისკუსიის მონაწილეების დიდ ნაწილს მსგავსი გამოცდილება არ აქვს. თუმცა, ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა შორის გამოიკვეთნენ ის პირებიც, რომლებიც სამომხმარებლო სესხით სარგებლობენ. მიზნობრიობად, ძირითადად, განათლება დასახელდა, თუმცა, ზოგიერთ სტუდენტს თავად უწევს ოჯახის დახმარება და მათ ფინანსურ უზრუნველყოფაზე ზრუნვა. ამ სესხით მოსარგებლე სტუდენტები ხშირად ის პირები არიან, რომლებმაც უნივერსიტეტის გადაწყვეტილების გამო, ვერ მოახერხეს გადასახადის გაყოფა და პანდემიიდან გამომდინარე უმუშევრად დარჩენილებმა ვერ შეძლეს სწავლის საფასურის დაფარვა.

არსებული მდგომარეობის შემაჯამებელი შეფასებისთვის, რესპონდენტებს წარედგინათ შემდეგი დებულება - „ანაზღაურებადი სამსახურის გარეშე ვერ შევძლებდი ვყოფილიყავი სტუდენტი“. დისკუსიის მონაწილეთა დიდი ნაწილი დაეთანხმა შეთავაზებულ მოსაზრებას, რამდენადაც, როგორც მსჯელობაში გამოიკვეთა, სტუდენტების ეკონომიკური მდგომარეობისა და მათ ფინანსური დამოუკიდებლობის ერთ-ერთ წამყვან რგოლს სწორედ ანაზღაურებადი სამსახური წარმოადგენს.

ძირითადი მიზნებები:

- კვლევა აჩვენებს, რომ არსებობს კონფლიქტი სტუდენტთა დასაქმებასა და მათ საგანმანათლებლო პრაქტიკას შორის. უმაღლესი განათლება ნაკლებად ზრდის დასაქმების შანსს პროფესიული ნიშნით. თუმცა, მომსახურების სფეროში დასაქმება ქმნის მნიშვნელოვან ბარიერებს სასწავლო დროსთან ადაპტაციაში.

- დასაქმებული სტუდენტების ნაწილი ფიქსირებული ზედიზედ მეტ საათს მუშაობს, რაც უარყოფითად აისახება მათ ყოველდღიური ცხოვრებაზე, განსაკუთრებით კი სწავლის პროცესზე. გაწეულ საქმესა და ანაზღაურებას შორის არსებული დისბალანსის გამო კი, ანაზღაურება ყოველთვიური ხარჯების დასაფარადაც არ არის საკმარისი.
- სტუდენტების აზრით, უნივერსიტეტში მიღებული განათლება დასაქმებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებსა და ცოდნას ვერ უზრუნველყოფს, განსაკუთრებით პროფესიით დასაქმების შემთხვევაში. მიღებული ცოდნით, საკუთარი სპეციალობით სტაჟიორად დასაქმებაც კი პრობლემურ საკითხად განიხილება.

სოციალური საკითხები და საცხოვრისის პოლიტიკა

საცხოვრებელი მნიშვნელოვან და მრავალფუნქციურ როლს თამაშობს სტუდენტების ცხოვრებაში. მისი სპეციფიურობიდან გამომდინარე, საცხოვრებელი ასევე ასრულებს უსაფრთხოების ფუნქციასაც როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით (Paltridge, 2010). საცხოვრებელი ასოცირდება სოციალურ ფუნქციასთან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის გაზიარებულია სხვებთან, მაგალითად, მშობლებთან, პარტნიორებთან, შვილებთან ან თანაკურსელებთან. საცხოვრებლის ზოგიერთი ფორმა, მაგალითად, სტუდენტური საცხოვრებლები, ასევე შეიძლება იყოს განსაკუთრებით ხელსაყრელი სტუდენტების სოციალურ-აკადემიური ინტეგრაციის პროცესში და შესაძლოა ხელი შეუწყოს სწავლის სტატუსის შეჩერების შემცირებასაც (Hauschildt, 2021). კვლევაში მონაწილე სტუდენტებისთვის საცხოვრისის საკითხი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. განსაკუთრებით კი მათთვის, ვინც სხვადასხვა რეგიონიდან დედაქალაქში სასწავლებლად ჩამოვიდნენ. საცხოვრისის საკითხი რესპონდენტებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის ერთ-ერთ მთავარ ხელშემშლელ ბარიერს წარმოადგენს და, ამასთან, ყოველთვიურ ხარჯებში ყველაზე დიდი მოცულობით იჩენს თავს. აღნიშნულ პრობლემას განაპირობებს ისიც, რომ საუნივერსიტეტო სივრცეში სტუდენტური საცხოვრებლების საკითხი წლებია გადაუჭრელ პრობლემას.

მაგალითად, სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტების შეფასებით, უნივერსიტეტს აქვს სტუდენტური საცხოვრებელი, თუმცა ადგილების რაოდენობა საკმაოდ შეზღუდულია, რაც ხშირად სტუდენტთა სოციალური ქულებით რანჟირების საჭიროებას იწვევს.

„როცა ჩამოვედი თბილისში, საცხოვრებლის ხარჯის დაფარვა ჩემი ოჯახისთვის წარმოუდგენელი იყო, ამის გამო მომიწია უნივერსიტეტისთვის მიმართვა, რომ მოეცათ სტუდენტურ საცხოვრებელში ცხოვრების ნებართვა. სამწუხაროდ, როგორც მითხრეს ადგი-

ლები შევსებული იყო და ვინაიდან სოციალურად დაუცველთა ბაზაში არ ვირიცხებოდი, ვერ შევძლებდი სტუდენტური საცხოვრებელით სარგებლობას. საბოლოოდ ერთი წელი, სანამ პანდემია დაიწყებოდა, ნათესავთან მომიწია ცხოვრება.“

სტუდენტური საცხოვრებლის პრობლემაზე კერძო უნივერსიტეტის წარმომადგენლებმაც ისაუბრეს. როგორც აღინიშნა, კერძო უნივერსიტეტების ნაწილი სტუდენტებს საერთო საცხოვრებელს არ სთავაზობს, ხოლო ზოგიერთის შემთხვევაში მსგავსი სივრცეები, ძირითადად, საერთაშორისო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტებისთვისაა განკუთვნილი და ყოველთვიური გადასახადი ბინების კერძოდ ქირაობის საშუალო ფასს აღემატება.

„უნივერსიტეტი მუდმივად რეკლამას უწევდა სტუდენტურ კამპუსს. როდესაც ამის საჭიროება მქონდა, მივმართე ადმინისტრაციას, თუმცა, როგორც მათ მითხრეს, სტუდენტური საცხოვრებელი საერთაშორისო სტუდენტებისთვის იყო გათვლილი. ეს უნივერსიტეტის მხრიდან ერთგვარი ხრიკია, რადგან ყოველთვიური გადასახადი 500 ლარს აჭარბებდა, რაც უფრო დიდი თანხაა, ვიდრე დამოუკიდებელი ქირაობის შემთხვევაში შეიძლება გადაიხადოს სტუდენტმა“.

ყველაზე გავრცელებულ პრაქტიკას, საცხოვრისის საკითხთან მიმართებით, რამდენიმე სტუდენტის ერთობლივად ცხოვრება და ყოველთვიური გადასახადის განაწილება წარმოადგენს. კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც 2, 3 ან 4 სტუდენტს ერთობლივად აქვთ ნაქირავები კერძო ბინა. სტუდენტების გამოცდილებით, ამ ფორმით, როგორც ბინის, ასევე, ყოველთვიური კომუნალური ხარჯების ოდენობა უმცირდებათ. გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენს ნათესავებთან ან ოჯახის ახლობლებთან ცხოვრებაც. თუმცა, სტუდენტები, რომლებიც სხვის ოჯახში ჩერდებიან, აღნიშნავენ, რომ მსგავსი პრაქტიკა მათ სტუდენტური ცხოვრების ქონაში ხელს უშლის.

საცხოვრისის პრობლემა ნაცნობია რეგიონული უნივერსიტეტების სტუდენტებისთვისაც. ზოგიერთი რესპონდენტის ინფორმაციით, სტუდენტებისთვის ახალი საცხოვრებელი კორპუსი პანდემიამდე აშენდა, თუმცა პანდემიის გამო ამ სივრცით სარგებლობა ვეღარ მოახერხეს. სტუდენტებს, რომლებიც გურიამი ან მაღალმთიან აჭარაში ცხოვრობდნენ, ძირითადად, საცხოვრებელი ხარჯების გაზიარება და ერთობლივად ქირაობა ან ნათესავებთან ცხოვრება უწევდათ. თბილისში მცხოვრები რესპონდენტებისგან განსხვავებით, ბათუმში მცხოვრები სტუდენტებისთვის საცხოვრებლის ქირაობა შედარებით ნაკლებ პრობლემას წარმოადგენს, რადგან კერძო საცხოვრებლის ყოველთვიური ქირის გადასახადი, ქ. თბილისის საშუალო საბაზრო ფასებთან შედარებით, გაცილებით მცირეა და უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი სტიპენდია ან ანაზღაურებადი სამსახურიდან მიღებული შემოსავალი, ყოველთვიური გადასახადის დასაფარად ჰყოფნით.

საცხოვრებელთან დაკავშირებით, სტუდენტებს, რომლებიც კერძო საცხოვრისით სარგებლობენ, დამატებით ვკითხეთ, თუ როგორ ახერხებდნენ ყოველთვიურად საცხოვრებლის ხარჯის დაფარვას. ფოკუს-ჯგუფების მონაწილეების დიდი ნაწილის გამოცდილებით, საცხოვრისის გადასახადს, ძირითადად, ოჯახები (შინამეურნეობები) ფარავენ, რაც ძალიან დიდ ხარჯთან არის დაკავშირებული.

ზოგიერთი რესპონდენტის ინფორმაციით, მათი ოჯახის რომელიმე წევრი (ძირითადად, დედა), იმისათვის, რომ ყოველთვიური საცხოვრებელი ხარჯი და ასევე სწავლის მიმდინარე გადასახადი დაეფარა, იძულებული გახდა ემიგრაციაში სამუშაოდ წასულიყო. რესპონდენტების თქმით, რომ არა ოჯახის წევრის მხრიდან ეს მძიმე გადაწყვეტილება, ისინი ვერ შეძლებდნენ თბილისში ჩამოსვლას და სწავლის დაწყებას, რადგან, მათი შეფასებით, სწავლის გადასახადი და მიმდინარე ხარჯები მნიშვნელოვნად აღემატება მათ ყოველთვიურ შემოსავლებს.

„მე დამჭირდა საცხოვრებლის ცვლილება, როცა თბილისში ჩამოვედი. მიუხედავად იმისა, რომ დედაჩემი საბერძნეთშია და მეც დასაქმებული ვარ, კარფურში ვმუშაობ საწყობის მენეჯერად, ეს თანხები საერთოდ არ გვყოფნის იმისთვის, რომ კერძოდ მექირავებინა ბინა. რადგან ჩემი ხარჯების გარდა, ოჯახის სხვა წევრებს ჯანმრთელობის პრობლემები აქვთ, გამოგზავნილ თანხას ძირითადად ამ საჭიროებებზე მივმართავთ. ამის გამო, ბიძაჩემთან მომიწია ცხოვრება“.

თბილისის უნივერსიტეტების ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებმა პრობლემურ საკითხად განიხილეს უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული სტიპენდიებისა და სტუდენტის ყოველთვიური საჭიროებების, ხარჯების კრიტიკული შეუსაბამობა. როგორც მსჯელობისას გამოიკვეთა, სამომხმარებლო სესხი საცხოვრებლის ხარჯის დაფარვის ერთ-ერთ ალტერნატივას წარმოადგენს. ამავე ჭრილში რესპონდენტების ნაწილმა სამომხმარებლო სესხით სარგებლობის გამოცდილებაზეც მიუთითა. მსგავსი პრაქტიკა, ძირითადად, ანაზღაურებად სამსახურში დასაქმებული სტუდენტებისთვისაა დამახასიათებელი, რამდენადაც სესხის მიღების წინაპირობა გარკვეული ოდენობის ფიქსირებული შემოსავლის არსებობაა. მართალია, სესხის საშუალებით რესპონდენტებმა შეძლეს საცხოვრებლის რამდენიმე თვის ხარჯის დაფარვა, თუმცა, მეორე მხრივ, თავად სესხის დაფარვის საკითხი აღმოჩნდა პრობლემური.

სტუდენტებისთვის ასევე პრობლემას წარმოადგენს საცხოვრებელთან დაკავშირებული კომუნალური გადასახადებიც. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ კომუნალური გადასახადების დაფარვა განსაკუთრებით დეკემბერ-მარტის პერიოდში უჭირთ, რადგან რესურსების მოხმარების ხარჯები ამ დროს მნიშვნელოვნად იზრდება.

საცხოვრებელთან დაკავშირებული პრობლემების მქონე სტუდენტების შეფასებით, სწავლის დისტანციური ფორმატი მათთვის მნიშვნელოვან შედეგადად

იქვა. ერთი მხრივ, რესპონდენტების ნაწილისთვის მსგავსი მიდგომა, აუდიტორიებში დასწრებით სწავლასთან შედარებით, პრობლემურია ცოდნის მიღების თვალსაზრისით და არც უმაღლესი განათლების შესახებ მათ ეპისტემურ წარმოდგენებს არ შეესაბამება; თუმცა, მეორე მხრივ, ზოგიერთი სტუდენტი დისტანციური სწავლის ფორმატის სრულად ან ნაწილობრივ შენარჩუნებას ისურვებდა, რადგანაც საცხოვრებლის ხარჯები მკვეთრად შემცირდა. ამასთან, რესპონდენტების ნაწილმა ხაზი გაუსვა სწავლის აუდიტორიებში განახლების შემთხვევაში სტუდენტის სტატუსის იძულებითი შეწყვეტის სავარაუდო ფაქტს, რადგანაც საცხოვრისისა და სხვა ყოველთვიური ხარჯის დაფარვას ვერ შეძლებენ.

„პანდემიის დროს ეს ვითარება შეიცვალა და ჩემს სოფელს დაუბრუნდი, მაგრამ არ ვიცი შემდეგ წლებში როგორ უნდა გავაგრძელო. უკვე ნათესავთანაც ვეღარ დავბრუნდები და შეიძლება, თუ ონლაინ არ გაგრძელდება სწავლა, დროებით შევიჩერო სტატუსი, მიუხედავად იმისა, რომ ამის სურვილი საერთოდ არ მაქვს.“

სააუდიტორიო სწავლის განახლების შემთხვევაში, სტუდენტების ნაწილს, ცხადია, რეგიონიდან კვლავ საუნივერსიტეტო ქალაქში დაბრუნება და საცხოვრებლის დაქირავება მოუწევს, რაც კვლევაში მონაწილე პირებისთვის, ერთი მხრივ, მატერიალური მდგომარეობის გაუარესებასთან, ხოლო, მეორე მხრივ, ფსიქოლოგიურ სტრესთან არის დაკავშირებული.

როგორც ჩანს, საცხოვრისის საკითხი რესპონდენტების დიდი ნაწილისთვის პრობლემურია, განსაკუთრებით კი რეგიონიდან ჩამოსული სტუდენტებისთვის. კვლევის მონაწილეების შეფასებით, აღნიშნული საკითხი უარყოფითად აისახება მათი და მათი ოჯახის ფინანსურ მდგომარეობაზე და აგრეთვე, დაბრკოლებას ქმნის სწავლის გაგრძელების თვალსაზრისით. თუკი სწავლის დისტანციურ რეჟიმს პოზიტიური შედეგი ჰქონდა ხარჯების შემცირების თვალსაზრისით, სწავლის აუდიტორიებში განახლების შემთხვევაში, ზოგიერთი სტუდენტი, სწორედ საცხოვრისის ხარჯის დაფარვის შეუძლებლობის გამო, შესაძლოა უმაღლესი განათლების მიღმა დარჩეს.

ძირითადი მიზნებები:

- საცხოვრისის საკითხი სტუდენტებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის ერთ-ერთ მთავარ ხელშემშლელ ბარიერს წარმოადგენს. გასათვალისწინებელია, რომ ყოველთვიური ხარჯების ჭრილში საცხოვრისი ყველაზე დიდი წილითაა წარმოდგენილი.
- საცხოვრისის პრობლემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ სტუდენტებისთვის, ვინც რეგიონებიდან ქ. თბილისში გადმოვიდნენ სწავლის მიზნით. სტუდენტებისთვის საცხოვრისთან დაკავშირებული ხარჯები, სტატუსის შეჩერების ერთ-ერთ გან-

მაპირობებელ ფაქტორს წარმოადგენს.

- სტუდენტური საცხოვრებლების სიმცირის და ქირავნობის მაღალი ხარჯების გამო, სტუდენტთა ნაწილი ქ. თბილისთან ახლოს სხვა ქალაქებში (ძირითადად, რუსთავი) ქირავნობის პრაქტიკებსაც მიმართავს, რათა შეამციროს აღნიშნული ხარჯები.
- რესპონდენტთა აზრით, ყველაზე დიდი დანახარჯი საცხოვრებლის დაქირავება და კომუნალური გადასახადების გადახდაა.

სწავლის გადასახადი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში

საუნივერსიტეტო სწავლის საფასური ინდივიდუალური გადასახადის ტიპს წარმოადგენს. გადასახადი შეიძლება ჩაითვალოს, როგორც სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის ხარჯების განაწილების უფრო ფართო კონტექსტის ნაწილი უმაღლესი განათლების დასაფინანსებლად. გადასახადების მაკრო პოლიტიკა ქვეყანაში გავლენას ახდენს სტუდენტების ინდივიდუალურ კეთილდღეობაზე. (Hauschildt, 2021). საქართველოში სწავლის წლიური გადასახადი საჯარო უნივერსიტეტებში 2250 ლარია, ხოლო კერძო დაწესებულებებს აქვთ თავისუფლება სასწავლო წლის დასაწყისში დააწესონ და შემდგომ დააკორექტირონ სწავლის გადასახადი. სწავლის საფასური დიდ ტვირთად აწევს სტუდენტებს, რადგან სტუდენტები ძირითადად დამოკიდებულნი არიან ოჯახებსა და სახელმწიფო გრანტებზე. უმაღლეს განათლებას ძირითადად მინამეურნეობები აფინანსებენ (77% - 2019 წელს), ხოლო სახელმწიფო დანახარჯები ერთ სტუდენტზე (მშპ - ერთ სულ მოსახლესთან მიმართებაში) დაბალია. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020 წ.)

სახელმწიფო გრანტის მხრივ, ფოკუს-ჯგუფი განსხვავებული გამოცდილების მქონე რესპონდენტებისგან იყო დაკომპლექტებული. იმ პირების გარდა, ვისაც სახელმწიფო გრანტი აქვს, დისკუსიაში მონაწილეობას იღებდნენ ინდივიდები, რომლებმაც მიღეს საუნივერსიტეტო დაფინანსება მოიპოვეს. უნივერსიტეტის მხრიდან გაწეულ შეღავათზე ისაუბრეს მაგისტრანტებმაც, რომელთაც სწავლა იმაზე კერძო უნივერსიტეტში გააგრძელეს, სადაც საბაკალავრო საფეხურზე სწავლობდნენ. იმ პირებმა, რომელთაც გარკვეული ოდენობის გადახდა უწევთ, აღნიშნეს, რომ განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა პანდემიის პირობებში თანხის დაფარვა, რადგან ზოგიერთის სამსახური დაიხურა და სტაბილური შემოსავლის გარეშე დარჩნენ. როგორც აღმოჩნდა, ზოგიერთმა უნივერსიტეტმა სტუდენტებს გადასახადი არ გადაუხადა, რის გამოც მათ სტატუსის შეჩერება მოუხდათ.

„ამ პანდემიის დროს, როცა არავინ მუშაობს და არც არის საშუალო, ძალიან რთულია სწავლის გადასახადის გადახდა. ბევრმა ჩემმა ჯგუფელმა შეიჩერა სტატუსი ამის გამოც.“ (ბაკალავრიატის საფეხური, კერძო უნივერსიტეტი)

თუმცა, საინტერესოა, რომ დისკუსიის მონაწილეებმა უნივერსიტეტის ტიპებს შორის განსხვავებას გაუსვეს ხაზი. როგორც აღმოჩნდა, სახელმწიფო უნივერსიტეტები მეტად ემპათიურად მიუდგნენ სტუდენტების მდგომარეობას და გადასახადი რამდენიმე თვეზე გადაანაწილეს, განსხვავებით კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისგან. მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ სწავლის გადასახადის დაფარვის პრობლემურობაზე სრული სახელმწიფო დაფინანსების მქონე სტუდენტებმაც ისაუბრეს. ამ შემთხვევაში, ცხადია, საკითხი ნაცნობების, მეგობრების პერსპექტივით შეფასდა. სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის მნიშვნელოვან შეღავათს სწორედ სახელმწიფო დაფინანსება წარმოადგენს. მეტიც, ზოგიერთის აზრით, მის გარეშე ვერ შეძლებდა სწავლის საფასურის დაფარვას.

„მე 100%-იანი დაფინანსება მაქვს. თუმცა გრანტი რომ ვერ მიმეღო, ნამდვილად გამიჭირდებოდა არა მხოლოდ მე, არამედ ჩემს ოჯახსაც ამ თანხის გადახდა და რასაკვირველია, გადავხედავდი ჩავაბარებდი თუ არა უნივერსიტეტში.“ (ბაკალავრიატის სტუდენტი, სახელმწიფო უნივერსიტეტი)

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ თითქმის ყოველი მონაწილე სწავლის გადასახადს, მიღებულ ცოდნასთან შედარებით, შეუსაბამოდ მიიჩნევს. პრობლემურ კონტექსტად იკვეთება სტუდენტების, მათი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და მათი ყოველდღიურობა. დისკუსიაში ჩართულმა პირებმა აღნიშნეს, რომ სტუდენტების ყოველდღიური ხარჯის გათვალისწინებით უფრო მეტად შეუსაბამოა სწავლის გადასახადი სახელმწიფო უნივერსიტეტებში და მით უმეტეს კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. სწორედ ამ კონტექსტში განხილულ იქნა, ერთი მხრივ, სწავლის გადასახადზე შეღავათების დაწესება, ხოლო, მეორე მხრივ, უფასო ფაკულტეტების არსებობა. მიუხედავად იმისა, რომ დისკუსიის ფარგლებში სწავლის გადასახადთან მიმართებით გამოიყო სახელმწიფოს როლი, მეორე მხრივ, სტუდენტების ნაწილი უფასო ფაკულტეტების შერჩევის მხრივ ხარვეზებს ხედავს. რესპონდენტების ნაწილის შეფასებით, ცხადი და მკაფიო კრიტერიუმების არარსებობის გამო, შერჩეული მიმართულებები პრიორიტეტების ხელოვნურ გადანაწილებას იწვევს. მსგავსი მიდგომა კი, ცხადია, სწავლის გადასახადთან არის დაკავშირებული. იმ ოჯახების შვილები, რომლებიც ეკონომიკური მდგომარეობის გამო ვერ მოახერხებენ უნივერსიტეტის თანხის გადახდას, უმეტეს შემთხვევაში იძულებულნი ხდებიან, რომ უფასო ფაკულტეტზე ჩააბარონ, მიუხედავად იმისა, მათი ინტერესის სფეროს შესაბამება თუ არა.

„აუცილებელია რომ გადასახადი უფრო შეღავათიანი უნდა იყოს ან უფრო ხელმისაწვდომი. აქვე აუცილებელია შევხებო უფასო ფაკულტეტების თემას, რაც გაუგებარი პრინციპითაა შერჩეული და იწვევს იმას, რომ ინტერესების აღრევასთან ერთად ხდება პრიორიტეტების იძულებითი გადაფასება. ბევრი სტუდენტი იძულებულია რომ უფასო პროგრამაზე ისწავლოს მა-

რტო იმის გამოც, რომ სწავლის გადასახადი არ გადაიხადოს.“ (ბაკალავრიატის სტუდენტი, სახელმწიფო უნივერსიტეტი)

სწავლის გადასახადზე საუბრისას, მთავარ ფინანსურ წყაროდ ოჯახი და ანაზღაურებადი სამსახური დასახელდა. ზოგიერთ რესპონდენტი თავადაც მუშაობს, თუმცა ოჯახის დახმარებაც სჭირდება სწავლის ფულის დასაფარად. მეტიც, დისკუსიის რამდენიმე მონაწილემ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების შერჩევისასაც კი გამოყო ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის როლი. მათი შეფასებით, ხშირად აბიტურიენტები ვერ რისკავენ იმ ფაკულტეტზე ჩაბარება, რაც შესაძლოა აინტერესებდეთ, რადგან ფიქრობენ, რომ გადასახადის გადახდას ვერ შეძლებენ.

კვლევაში მონაწილე ზოგიერთი სტუდენტი სტიპენდია ან სტიპენდიის და ყოველთვიურად ან სემესტრულად კონკრეტული ოდენობის თანხას იღებს უნივერსიტეტისგან. კონკრეტული კერძო უნივერსიტეტის სტუდენტის შეფასებით, 8 თვის განმავლობაში თვიურად ჩარიცხული 100 ლარი, რაც მას სტიპენდიის ფარგლებში ეკუთვნის, სტუდენტური ხარჯების დასაფარად საკმარისი არ არის, მეტიც არსებული თანხა კვებისა და კომუნალური გადასახადების დაფარვასაც არ ყოფნის. მეორე მხრივ, კვლევის მონაწილეთა შორის აღმოჩნდა ისეთი სტუდენტიც, ვინც თავდაცვის სამინისტროსგან იღებს კონკრეტული სპეციფიკის სტიპენდიას, რაც მის საუნივერსიტეტო გადასახადს აღემატება, ამდენად იოლად ახერხებს სწავლის ფულის დაფარვას; მეტიც, ძირითად შემთხვევაში დამატებითი ხარჯების სრულად დაფარვის საშუალებას ექმნება.

„მე ჯარისკაცის შვილი ვარ და თავდაცვის მინისტრმა გამოაცხადა მაღალი აკადემიური მოსწრებისთვის სტიპენდია. და წელიწადნახევარია ამ სტიპენდიით ვსარგებლობ. წელიწადში 1500 ლარს ვიღებ მათგან სტიპენდიას, რაც ჩვენი უნივერსიტეტის (750 ლართან) შედარებით, ორჯერ მეტია. ეს მეხმარება რომ სწავლის გადასახადი დავფარო, თორემ უნივერსიტეტის სტიპენდია უფრო რთული ამბავია.“ (მაგისტრანტი, კერძო უნივერსიტეტი)

ამავე რესპონდენტის შეფასებით, საუნივერსიტეტო სტიპენდიის აღების შემთხვევაში ამდენი ხარჯის გადახდას ვერ მოახერხებდა. უნივერსიტეტის მიერ გაცემული სტიპენდიების ჭრილობი პრობლემურ საკითხად განიხილება თანხის დაბეგვრა, რაც კიდევ უფრო ამცირებს იმის შესაძლებლობას, რომ მიღებული ოდენობით სწავლის საფასური ან ყოველთვიური ხარჯები დაიფაროს.

დისკუსიაში მონაწილე სტუდენტების გამოცდილებით, პანდემიიდან გამომდინარე, დასაქმება თითქმის შეუძლებელია, რაც სწავლის გადასახადის მიმართულებით, პირდაპირ ნიშნავს, რომ მთელ ხარჯზე პასუხისმგებელი ოჯახია. ფოკუს-ჯგუფების ფარგლებში ზოგიერთმა სტუდენტმა მშობლების ემიგრაციის გამოცდილებაზეც ისაუბრა, რაც სწორედ მათი და მათი დამძმების სწავლის საფასურის გადახდითაა განპირო-

ბეზული. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, გაცილებით მასშტაბურ პრობლემებს გამოკვეთს, ვიდრე ცალკეულ შემთხვევაში სწავლის გადასახადის დაფარვაა.

ძირითადი მიზნები:

- სწავლის გადასახადი, საცხოვრისის ხარჯებთან ერთად, სტუდენტების ყოველთვიური დანახარჯების ძირითად ნაწილს შეადგენს.
- სწავლის გადასახადის დასაფარად მთავარ ფინანსურ წყაროდ ოჯახი და ანაზღაურებადი სამსახურიდან შემოსავალი დასახელდა. პანდემიიდან გამომდინარე კი, სტუდენტების დიდი ნაწილი დასაქმებას ვერ ახერხებს, ამდენად მთელ ხარჯზე პასუხისმგებელი ხშირად ოჯახია. გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც მშობლებს, სწორედ შვილ(ებ)ის სწავლის გადასახადის დაფარვის მიზნით, ემიგრაციაში უწევთ წასვლა.
- სწავლის გადასახადის დასაფარად სტუდენტებს ან მისი ოჯახის რომელიმე წევრს უწევთ სამომხმარებლო სესხით სარგებლობა.
- სწავლის საფასურის გადახდა განსაკუთრებით დიდ პრობლემებთან არის დაკავშირებული არსებული კოვიდ პანდემიის პირობებში, რაც უკავშირდება სტუდენტებში სამსახურის და შესაბამისად, სტაბილური შემოსავლის წყაროს დაკარგვას.

სტუდენტური სტატუსის შეჩერების გამომწვევი ძირითადი მიზეზები

უმაღლესი განათლების კანონის მიხედვით, სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი შესაძლოა იყოს: სტუდენტის პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე); უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა; ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება; ფინანსური დავალიანება ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით გათვალისწინებული სხვა გარემოება. წინამდებარე კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ფოკუს ჯგუფის მონაწილეებად შეირჩნენ ის რესპონდენტები, რომელთაც სტატუსი ფინანსური დავალიანების გამო აქვთ შეჩერებული.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეები ასახელებდნენ სტატუსის შეჩერების რამდენიმე მიზეზს. როგორც დისკუსიისას გამოიკვეთა, სტატუსის შეჩერებული სტუდენტებისთვის მხოლოდ უ.ს.დ.-ის სასწავლო გადასახადი არ არის სტატუსის შეჩერებისთვის მთავარი საფუძველი. მონაწილეთა ნაწილი აღნიშნავს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება რამდენიმე მიზეზთა კომბინაციის შედეგად მიიღეს:

1. სწავლის გადასახადის გადახდის უნარობა;
2. საცხოვრისის საკითხი;
3. დასაქმების პრობლემა;

„ჩემს შემთხვევაში სტატუსის შეჩერების მიზეზს მხოლოდ სწავლის გადასახადი არ წარმოადგენდა. თბილისში რომ მეცხოვრა, საცხოვრებლის ხარჯიც დამატებოდა, ჩემს უნივერსიტეტს კი სტუდენტური საცხოვრებელი არ აქვს. გარდა ამისა, ლექციები ძირითადად დღის პირველ ნახევარში მქონდა ცხრილით გათვალისწინებული, რამდენიმე სამუშაოზე მივედი, მაგრამ არც ერთი ეწყობოდა უნივერსიტეტს. ამის გამო მივიღე გადაწყვეტილება, რომ შემეწყვიტა სტატუსი და სახლში დავბრუნებულიყავი.“

როგორც სხვა რესპონდენტებმაც აღნიშნეს, საცხოვრისის საკითხი და მასთან დაკავშირებული ყოველთვიური საყოფაცხოვრებო ხარჯები სტატუსის შეწყვეტის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენს. როგორც ფოკუს ჯგუფმა აჩვენა, სტატუსს ძირითადად იჩერებენ სხვადასხვა რეგიონიდან თბილისში ან სხვა საუნივერსიტეტო ქალაქებში გადასული სტუდენტები, შესაბამისად, საცხოვრისის ხარჯები მათთვის მნიშვნელოვან ხარჯს წარმოადგენს. ფოკუს ჯგუფის მონაწილეები, რომლებიც საუნივერსიტეტო ქალაქში სხვა რეგიონებიდან ჩავიდნენ, ძირითადად დამოკიდებულები იყვნენ ოჯახის დახმარებაზე. რამდენიმე რესპონდენტის შემთხვევაში სწორედ ოჯახის დახმარების შემცირებამ განაპირობა საუნივერსიტეტო სწავლის გადახდის დაფარვის შეუძლებლობა.

სტუდენტების სოციალური საჭიროებების კვლევისას გამოიკვეთა, რომ განათლებაზე ხელმისაწვდომობა კომპლექსური საკითხია, რომელიც დაკავშირებულია ფართო სოციალურ-ეკოლოგიურ სისტემებთან და სოციალურ პოლიტიკასთან. სტუდენტთა სტატუსის შეჩერების ძირითად ფაქტორებზე საუბრისას გამოიკვეთა, რომ აღნიშნული ფაქტორები არა მხოლოდ მჭიდრო კავშირშია განათლების პოლიტიკასთან, არამედ სისტემური საკითხებია და მოითხოვს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის და სისტემების ფართოდ განხილვას.

სასწავლო რესურსებზე ხელმისაწვდომობა

კვლევის შემდეგ საფეხურზე გაანალიზდა სასწავლო რესურსებზე ხელმისაწვდომობის საკითხი. თავდაპირველად განხილულ იქნა სასწავლო კურიკულუმებში მითითებული ძირითადი სასწავლო მასალები. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი სხვაობები გამოიკვეთა, როგორც უნივერსიტეტის ტიპის, ასევე, სწავლების საფეხურის მიხედვით. კერძოდ, სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტები აღნიშნავდნენ, რომ საგნის სილაბუსში მითითებული ძირითადი ლიტერატურა ხელმისაწვდომი იყო, როგორც პანდემიამდე, ასევე, დისტანციური სწავლების ფორმატზე გადასვლის შემდეგაც.

დისკუსიის ფარგლებში, ძირითადად, სახელმწიფო უნივერსიტეტების სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ უმთავრეს პრობლემას არსებული სახელმძღვანელოების/ლიტერატურის შინაარსი წარმოადგენს. სტუდენტების აზრით, ძირითად სასწავლო სახელმძღვანელოებს მნიშვნელოვანი რევიზია ესაჭიროება, რადგან მათში არ არის ასახული სოციალურ მეცნიერებებში მიმდინარე განახლებული თეორიული მსჯელობები; ასევე, სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკური და სამართლებრივი მოწყობის ფორმებისა თუ საარჩევნო მოდელების სწავლებისას არ არის გათვალისწინებული ის ტრანსფორმაციები, რაც თითოეული ქვეყნის პოლიტიკურმა სისტემამ მინიმუმ ბოლო 20-30 წლის განმავლობაში გაიარა.

„მახსენდება ასეთ საგანს გავდიოდით წინა წელს „საარჩევნო სისტემები შედარებით პრესექტივაში“, სადაც ლექტორის მიერ გამოცემული ძირითადი სახელმძღვანელო 1984 წლით თარიღდებოდა. მაშინ როდესაც საგანი ამ ქვეყნების თანამედროვე კონტექსტს ეხება, ცალსახად მნიშვნელოვანია, რომ ძირითად სასწავლო მასალად 2000-იანების შემდეგ გამოცემული სახელმძღვანელოები მაინც იყოს.“ (ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტი, სახელმწიფო უნივერსიტეტიდან)

სასწავლო სახელმძღვანელოებზე მსჯელობისას განსხვავებული პრობლემები გამოიკვეთა კერძო უნივერსიტეტების შემთხვევაში. სტუდენტებმა ისაუბრეს უნივერსიტეტის მხრიდან სახელმძღვანელოების იძულებითი შეძენის/მოთხოვნის ფაქტებზე. როგორც ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებმა აღნიშნეს, ყოველ სემესტრში სავალდებულოა ახალი წიგნების შეძენა. ასევე, ზოგიერთ სახელმძღვანელოს თან ახლავს სამუშაო რვეული, რომელშიც ყოველკვირეულად ე.წ. „ქვიზებს“ წერენ. როგორც აღინიშნა, ლექტორი შესრულებულ ტესტებს/დავალებებს რვეულშივე ასწორებს, რაც მის ხელმეორად გამოყენებას შეუძლებელს ხდის. ამასთან, სტუდენტების გამოცდილებით, უნივერსიტეტში დაწერგილია შემდეგი პრაქტიკა - ყოველწლიურად ერთი და იმავე სახელმძღვანელოს განახლებული ვერსიების მომზადება, თუმცა, რეალურად ახალ მასალაში შინაარსობრივი ცვლილებები არ არის შეტანილი, მხოლოდ თავების/ქვეთავების მიმდევრობაა შეცვლილი. ზოგიერთ კერძო უნივერსიტეტში სტუდენტებს შეუძლიათ გამოცდებზე „ღია წიგნის“ პრინციპით იხელმძღვანელონ, თუმცა წიგნი აუცილებლად ამავე სახელმძღვანელოს ბოლო გამოცემას უნდა წარმოადგენდეს. ამდენად, სტუდენტები იძულებულები ხდებიან, რომ ყოველწლიურად „განახლებული“ ლიტერატურა შეიძინონ, რაც, ცხადია, დამატებით ხარჯია.

„როცა უნივერსიტეტში აბარებს სტუდენტი, ავტომატურად იძენს ყველა წიგნს. კერძო უნივერსიტეტებშია ეს პრაქტიკა. პირველ სემესტრში ყველა წიგნის შესაძენად დაჰქირდა 320 ლარი. არ არსებობს ის ვარიანტი, რომ მეორადი ვერსია იყიდო წიგნების. მნიშვნელოვანი იყო ის ამბავიც, რომ წიგნის ვერსიებს ყოველსემესტრში ცვლიდნენ, შინაარსი არის ერთი და იგივე,

არაფერი იცვლება მასში, უბრალოდ ახალი გამოცემა და გამოცდაზე რომ შეიტანო, ძველ ვერსიას აღარ უშვებენ.“ (საბაკალავრო საფეხურის სტუდენტი, სახელმწიფო უნივერსიტეტი)

როგორც რესპონდენტებმა აღნიშნეს, დისტანციურ ფორმატზე გადასვლისას, ორი არჩევანი ჰქონდათ. ერთი მხრივ, შეეძლოთ უნივერსიტეტისთვის მიეწერათ და განსაზღვრული თანხის სანაცვლოდ, გამოეწერათ წიგნები კონკრეტულ რეგიონში, ან წიგნის ელექტრონული ვერსიით ესარგებლათ. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ელექტრონული ვერსიები კონკრეტული უნივერსიტეტების სასწავლო პლატფორმებზე განთავსდა, თუმცა აღნიშნული ლიტერატურა იყო ფასიანი და სტუდენტებს მხოლოდ სასწავლო პროგრამაში შეეძლოთ მისი წაკითხვა.

რესპონდენტების შეფასებით, სასწავლო მასალის ჭრილში პრობლემურია უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენება. ზოგიერთი სტუდენტის გამოცდილებით, ქართულენოვანი პროგრამების ძირითად სახელმძღვანელოდ არაქართულენოვანი (ძირითადად ინგლისურენოვანი) ლიტერატურა გამოიყენება. როგორც რესპონდენტებმა აღნიშნეს, ინგლისური ენის ცოდნის დონის გამო, ხშირად ურთულდებათ/ვერ ახერხებენ აკადემიური ლიტერატურის დამუშავებასა და ანალიზს. ამასთან, როგორც სტუდენტების შეფასებით, თავიანთ დარგში ახალი სახელმძღვანელოების თარგმნა, გამოცემა და არსებული ლიტერატურის ჩანაცვლება იშვიათად ხდება.

„ჩემს შემთხვევაში პრობლემა ისაა, რომ თვითონ ქართულად არ არის ხელმისაწვდომი საჭირო ლიტერატურა. ძალიან მოძველებულია ლიტერატურა და არავინ მუშაობს რომ ეს განახლოს.“ (ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტი, სახელმწიფო უნივერსიტეტიდან)

ძირითადი მიზნებები:

- სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტების შეფასებით, საგნის სილაბუსში მითითებული ძირითადი ლიტერატურა ხელმისაწვდომია დისტანციური სწავლების ფორმატის ფარგლებშიც. მსგავს გამოცდილებაზე მიუთითებდნენ პანდემიამდელ პერიოდშიც.
- პრობლემურია უშუალოდ სახელმძღვანელოების შინაარსი, რამდენადაც არ ასახავს სხვადასხვა დისციპლინის ფარგლებში მიმდინარე, განახლებულ თეორიულ მსჯელობებს. მსგავს პრობლემებზე, ძირითადად, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებმა გაამახვილეს ყურადღება.
- კერძო უნივერსიტეტებში პრობლემურია სახელმძღვანელოების იძულებითი შეძენის/მოთხოვნის ფაქტები. „განახლებული“ წიგნები წინა წლის მასალისგან შინაარსობრივად არ განსხვავდება და,

სტუდენტების შეფასებით, მსგავსი მიდგომა მხოლოდ დამატებითი ხარჯის გაწევისთვისაა შემუშავებული.

- პანდემიის პირობებში ზოგიერთმა კერძო უნივერსიტეტმა სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიები, სასწავლო პლატფორმაზე განათავსა თუმცა მასზე წვდომა ფასიანი იყო. გარდა ამისა, ზოგიერთ საგანში ძირითადი ლიტერატურა ინგლისურ ენაზეა წარმოდგენილი, ან საჭიროებს განახლებული სახელმძღვანელოს გამოყენებას, რომელიც არ არის ქართულ ენაზე ხელმისაწვდომი, რაც დამატებით ბარიერს ქმნის ენის ცოდნის დონის გათვალისწინებით.

2.3 კოვიდ-19-ის პანდემიის გავლენა და უმაღლესი განათლების სოციალური განზომილება

არაერთი კვლევა აჩვენებს, რომ სტუდენტები არათანაბრად დაზარალდნენ COVID19-ის პანდემიის პროცესში, რამაც ხელი შეუწყო უთანასწორობის გაღრმავებას უმაღლეს განათლებაში. (Farnell, Matijević, & Schmidt, 2021) COVID19-ის პანდემიის მიერ შექმნილი დამატებითი დაბრკოლებების გამო, სტუდენტები სულ უფრო მეტად აწყდებიან სირთულეებს სასწავლო პრაქტიკებთან ადაპტირების პროცესში. კერძოდ, ის სტუდენტები, რომლებსაც არ აქვთ დამხმარე სოციალურ ქსელებთან წვდომა, რომლებსაც აქვთ სხვადასხვა სახის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, ან სტუდენტები, რომლებსაც აქვთ ციფრული უნარების დაბალი დონე, არ აქვთ მშვიდი ადგილი სასწავლად ან ლექციებზე დასასწრებად, კარგი ინტერნეტი და სასწავლო მასალა (Hauschildt, 2021).

„პანდემიის შემდეგ რეგიონში მომიწია დაბრუნება, ინტერნეტის სერიოზული პრობლემა მაქვს და ამის გამო, ხშირად მიფერხდება ლექციებზე სრულყოფილი დასწრება. ასევე, საგამოცდო პერიოდის პროცესში რამდენჯერმე გამომერთო სისტემა, რის გამოც რამდენიმე საგნის მუალედური გამოცდა ანუღირდა. უნივერსიტეტმა არ მიიღო წარმოებაში ჩემი წერილი, ინტერნეტის ხარვეზთან დაკავშირებით“.

ფოკუს-ჯგუფების ფარგლებში დისტანციური სწავლების ხარისხი განსხვავებულად შეფასდა. კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა დიდი ნაწილისთვის დისტანციური სწავლება, აუდიტორიებში დასწრებით სწავლასთან შედარებით, პრობლემურია, რამდენადაც ცოდნის გაზიარების პროცესში ვერ ხერხდება პროაქტიული ტექნიკების სხვადასხვა ფორმის გამოყენება. ამ მიდგომის ნაკლოვანება, სტუდენტების შეფასებით, ყველაზე მკაფიოდ პრაქტიკული შინაარსის საგნებთან მიმართებით იკვეთება. ფოკუს-ჯგუფების ზოგიერთი მონაწილე სწავლის ხარისხის შემცირებას ლექტორსა და სტუდენტს შორის კომუნიკაციის ნაკლებობას უკავშირებს. მსგავსი შედეგი, შესაძლოა გამოწვეული იყოს იმით, რომ ზოგიერთ უნივერსიტეტში, კონკრეტულ მიმართულებებზე, ლექცია-სემინარების მსვლელო-

ბისას კამერების ჩართვა არ არის აუცილებელი. ამდენად, ლექტორი, ძირითადად, ვერ ახერხებს ცოცხალი დისკუსიის გამართვას, რამდენადაც სტუდენტების ჩართულობა დაბალია.

„ჩემთვის ძალიან დიდი გავლენა აქვს დისტანციურ სწავლებას, რადგან ვერ ვიღებ იგივე ხარისხის განათლებას. ვერ ხერხდება დისტანციური სწავლების დროს დისკუსია და მსჯელობა ლექციებზე, ამიტომ სწავლების ხარისხი ძალიან გაუარესდა.“

ფოკუს-ჯგუფების ზოგიერთი მონაწილის შეფასებით, სწავლა-სწავლების მიმართულებით არსებული პრობლემის საფუძველი და მიზეზი დისტანციურ ფორმატში არ უნდა ვეძიოთ. მათი შეფასებით უნივერსიტეტებში სწავლების ხარისხის ზოგადი, სისტემური პრობლემები არსებობს. მათი შეფასებით, ამ ეტაპზე განათლება ასოცირდება აუდიტორიებში ცალმხრივად, მხოლოდ ლექტორის მხრიდან ცოდნის გაცემის პროცესთან. დისტანციური რეჟიმის დაწყებით კი, მათი აზრით, არაფერი შეცვლილა, რადგან სწავლის პროცესი კვლავ ძველებურად, ხარვეზებით, მიმდინარეობს. ამდენად, მათთვის სხვაობა დისტანციურსა და ფიზიკურ სივრცეში სწავლების ხარისხს შორის ბუნდოვანია.

მიუხედავად იმისა, რომ გაზიარებული ცოდნის ხარისხის მიხედვით, სწავლის დისტანციურ რეჟიმს სტუდენტების დიდი ნაწილი ნეგატიურად უყურებს, ფოკუს-ჯგუფების ფარგლებში მსგავსი ფორმატი შედარებით პოზიტიურად შეფასდა ხარჯების შემცირების მიმართულებით. რესპონდენტების ნაწილი ხელსაყრელად მიიჩნევს მსგავს ფორმატს, რამდენადაც რეგიონებში დაბრუნება შეძლეს, რაც საცხოვრებელზე და ყოველდღიურ საჭიროებებზე გაწეული ხარჯების მოცულობას მკვეთრად ამცირებს. მსჯელობა ამ მიმართულების სწორედ იმ სტუდენტებმა განავითარეს, რომლებიც თბილისში სწავლობენ, თუმცა, მშობლიური საცხოვრებელი დედაქალაქში არ აქვთ - ის პირები, რომელთაც საცხოვრისის პრობლემა განსაკუთრებით ეხებათ.

„ხარისხი ძალიან დაბალია, უბრალოდ ვისმენთ ლექციას. არანაირი ინტერაქცია და ჩართულობა ლექციის პროცესში. თუმცა უფრო მოსახერხებელია იმ თვალსაზრისით, რომ ხარჯების შემცირება შეუძელი. რეგიონში დავბრუნდი და ქირის თანხას აღარ ვიხდი, რაც ნამდვილად შედევითია ჩემთვის.“

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა ნაწილი დისტანციური სწავლის ფორმატის მიმართ პოზიტიურად იყვნენ განწყობილნი. მსგავსი დამოკიდებულება, ერთი მხრივ, აიხსნა დროის მენეჯმენტის თვალსაზრისით - სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ დისტანციურ რეჟიმში სწავლისას უფრო იოლად ახერხებდნენ სწავლისა და სამსახურის შეთავსებას. მეორე მხრივ კი, ზოგიერთი სტუდენტისთვის მსგავსი ფორმატი უფრო მისაღები აღმოჩნდა ლექცია-სემინარებზე აქტიურობისთვის. რესპონდენტების ნაწილმა მიუთითა რომ სხვადასხვა ფსიქო-სოციალური ფაქტორების გამო, აუდიტორიაში

დასწრებით სწავლისას, ერიდებოდათ ჯგუფში აქტიურობა, ხოლო დისტანციური განათლების ფარგლებში მეტად გახსნილები არიან და მათი ჩართულობაც გაზრდილია.

„ჩემთვის უფრო ხელსაყრელი აღმოჩნდა დისტანციური სწავლება, რადგან საუნივერსიტეტო ლექციების დროს ფიზიკურ სივრცეში, ძალიან მერიდებოდა ჯგუფში ჩართულობა, ონლაინ სწავლებამ ეს წინაღობა გადამილახა.“

მართალია, დასაქმებული სტუდენტების მხრიდან დისტანციური სწავლის ფორმატი, დროის გადანაწილების მხრივ, დადებითად შეფასდა, თუმცა განსაკუთრებულ პრობლემად მიღებული ცოდნის ხარისხი განისაზღვრა. როგორც აღმოჩნდა, ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა დიდი ნაწილის ეპისტემურ წარმოდგენებში უმაღლესი სასწავლო დაწესებულება მხოლოდ ცოდნის გადაცემას არ უკავშირდება, უმთავრესად ასოცირდება ცოდნის ტრანსფორმაციულ ბუნებასთან, სოციალიზაციასთან და სოციალური კაპიტალის გაძლიერებასთან. მსგავს აღქმას კი, სტუდენტების შეფასებით, სწავლა-სწავლების დისტანციური ფორმატი ვერ უზრუნველყოფს.

დისტანციურ სწავლებაში ერთ-ერთ პრობლემად ინტერნეტის ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი დასახელდა. პრობლემა ძირითადად იმ რეგიონში მცხოვრებმა სტუდენტებმა წამოჭრეს, სადაც ინტერნეტის შეფერხებულმა (არაოპტიკური ინტერნეტი) მოწოდებამ მნიშვნელოვნად შეაფერხა მათი სასწავლო პროცესი. გარდა ამისა, სათანადო ინტერნეტის არ მოწოდების გამო, სტუდენტების ნაწილი სარგებლობდა მობილური ინტერნეტის სერვისით, რაც დამატებით ხარჯს წარმოადგენდა.

ძირითადი მიზნებები:

- სტუდენტებს, რომლებსაც მძიმე სოციო-ეკონომიკური პრობლემები აქვთ, მიუხედავად იმისა, რომ დისტანციური სწავლება ხარისხთან მიმართებაში პრობლემურად მიაჩნიათ, მაინც ისურვებენ აღნიშნული ფორმატის შენარჩუნებას, რათა ყოველთვიური ხარჯები შეამცირონ.
- დისტანციურ ფორმატში, ლექციებზე ვერ დასწრების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ინტერნეტის დაბალი ხარისხი და მაღალი ფასები სახელდება, რაც განსაკუთრებით პრობლემური რეგიონებში მცხოვრები რესპონდენტებისთვის აღმოჩნდა.
- რეგიონში მცხოვრები სტუდენტების შემთხვევაში, არასათანადო ინტერნეტის არსებობა ხელს უშლიდა სტუდენტებს სათანადოდ ჩართულობენ სასწავლო პროცესში;
- დისტანციური სწავლების ფორმატი ასევე რთული აღმოჩნდა იმ რესპონდენტებისთვის, რომლებიც მრავალწევრიან ოჯახში ცხოვრობენ და არ გააჩნდათ ინდივიდუალური სივრცე სწავლებისთვის;
- გლობალური პანდემიის კოვიდ19-ის შედეგად სტუდენტთა ნაწილმა დაკარგა მომსახურების სფეროში არსებული სამსახურები, შემოსავლის არქონის გამო კი მოუხდათ სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;
- დისტანციური სწავლების პროცესში გაიზრდა სტუდენტების შფოთვა და მენტალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები.

3

დასკვნა და რეკომენდაციები

კვლევაში მონაწილე სტუდენტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისას ყურადღება დაეთმო მათი დასაქმების სტატუსს. როგორც კვლევამ აჩვენა, დასაქმება პროფესიული კუთხით პრობლემურია, როგორც საბაკალავრო, ასევე, სამაგისტრო საფეხურზეც. ამასთან, სტუდენტების აზრით, უმაღლესი განათლების გარეშე დასაქმების შანსი მნიშვნელოვნად შემცირებულია. გამოსავალი, როგორც წესი, მომსახურების სექტორში დასაქმებაა, რაც დამატებით ბარიერებს ქმნის სამუშაოსა და სწავლის შეთავსების მხრივ. მიუხედავად დაბრკოლებებისა, აღნიშნულ სფეროში დასაქმების გარეშე სტუდენტების ნაწილი სწავლის საფასურის გადახდას ვერ შეძლებდა და შესაბამისად, სტუდენტური სტატუსის შეჩერება მოუხდებოდათ. გარდა ამისა, დაფიქსირდა დისბალანსი შესრულებულ სამუშაოსა და მისაღებ ანაზღაურებას შორის. სტუდენტების არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, შემოსავალი ყოველთვიური ხარჯების დასაფარად არ არის საკმარისი. მიუხედავად არსებული სირთულეებისა, კვლევაში მონაწილე სტუდენტების უმრავლესობა დაეთანხმა მოსაზრებას, რომ „ანაზღაურებადი სამსახურის გარეშე, ვერ შეძლებდნენ ყოფილიყვნენ სტუდენტები“.

მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონიდან გამომდინარე, სტუდენტების ნაწილს ან მათი ოჯახის წევრებს, უწევთ სამომხმარებლო/სტუდენტური სესხებით სარგებლობა, რომლის მიზანია, ერთი მხრივ, სწავლის საფასურისა და საბინაო ხარჯების დაფარვა, ან, მეორე მხრივ, ოჯახის ფინანსური მხარდაჭერა. სამომხმარებლო სესხები განსაკუთრებით მძიმე ტვირთად აწევბათ სტუდენტებს.

უნივერსიტეტში არსებული ვითარების შეფასებამ აჩვენა, რომ სტუდენტების აზრით, ერთი მხრივ, სწავლის საფასური და, მეორე მხრივ, ყოველდღიური/თვიური შემოსავალი და ხარჯები, ასევე მიღებული ცოდნის ხარისხი, ერთმანეთთან შეუსაბამოა. პანდემიით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო, კერძო უნივერსიტეტებისგან განსხვავებით, საჯარო უნივერსიტეტებში გაჩნდა გადასახადების გადავადების ან გადანაწილების პრაქტიკა.

კვლევამ აჩვენა, რომ სტუდენტების შემოსავლის ძირითად წყაროს, სწავლის გადასახადის და სხვა საყოფაცხოვრებო ხარჯების დასაფარად, ოჯახისგან მიღებული შემოსავლები ან მომსახურების სფეროში დასაქმებისგან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს. გარდა ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში არსებული ხარჯების დასაფარად ოჯახის რომელიმე წევრის იძულებითი მიგრაციაც დასახელდა სხვა ქვეყნებში.

ყოველთვიური ხარჯების ანალიზმა აჩვენა, რომ საცხოვრისთან დაკავშირებული ხარჯები ყველაზე დიდ ადგილს იკავებს არსებულ ხარჯებში. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ უნივერსიტეტს გააჩნია საკუთარი სტუდენტური საცხოვრებელი, ზოგ შემთხვევაში, ისინი განკუთვნილია მხოლოდ საერთაშორისო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტებისთვის. ხშირ პრაქტიკას წარმოადგენს რამდენიმე სტუდენტის მიერ ერთობლივად ბინის ქირავნობის პრაქტიკაც, რაც ამცირებს მათ ყოველთვიურ ხარჯებს.

კვლევამ აჩვენა, რომ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულმა რესურსებმაც კი შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს სტუდენტის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ამ მხრივ პრობლემურია ზოგიერთი კერძო უნივერსიტეტის მოთხოვნა - ყოველ სემესტრში ახალი წიგნებისა და სახელმძღვანელოების შეძენის პრაქტიკა, რაც დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული.

კორონავირუსით გამოწვეული პანდემია კვლევაში დასაქმების და შესაბამისად, სწავლის საფასურის გადახდისუნარიანობის კუთხით უარყოფით კონტექსტში იქნა განხილული. კორონავირუსის გავრცელებასთან ერთად სტუდენტებმა დაკარგეს ანაზღაურებადი სამუშაო მომსახურების/პრეკარიულ სექტორში, რომელიც ზოგიერთი რესპონდენტისთვის შემოსავლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენდა. საბინაო პრობლემების ქრილში კი პანდემიური მდგომარეობა დადებითად იქნა შეფასებული - დისტანციურ სწავლებაზე გადასვლა მნიშვნელოვან ფინანსურ უპირატესობად იქცა. მსგავსმა ვითარებამ ასევე დადებითად იმოქმედა სამუშაოსა და სწავლის დროის შეთავსებაზე.

კვლევის რეკომენდაციები:

იმისათვის, რომ განათლების ხელმისაწვდომობის საკითხები პოლიტიკურ დღის წესრიგში აისახოს, აუცილებელია ამ პრობლემის გადასაჭრელად ინიციატივების განხილვა არა მხოლოდ განათლების სამინისტროს, არამედ სამთავრობო დონეზე, სექტორებს შორის კოორდინირებული პროგრამების შემუშავების მიზნით.

რეკომენდაციები განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთვის:

- სიღრმისეულად გაანალიზდეს სტუდენტების მიერ სტატუსის შეჩერების მიზეზები და მოხდეს შესაბამისი ზომების მიღება უმაღლეს განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით, იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც სოცო-ეკონომიკური მდგომარეობის გამო ვერ ახერხებენ სწავლისა და ყოველთვიური საცხოვრისი ხარჯების დაფარვას.
- შეიმუშაონ სისტემური და გრძელვადიანი პოლიტიკა უმაღლესი განათლების სისტემაში პანდემიის შედეგად მოტანილი დანაკარგების შესამცირებლად და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად;
- გადაიხედოს უნივერსიტეტების დაფინანსების არსებული ვაუჩერული მოდელი და გაიზარდოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პირდაპირი დაფინანსების შესაძლებლობები;
- გადაიხედოს სახელმწიფო პოლიტიკა საცხოვრისთან დაკავშირებით და გათვალისწინებულ იქნას სტუდენტების საჭიროებები საცხოვრებელთან მიმართებაში;

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს:

- კოვიდ პანდემიის განმეორებითი ტალღის შემთხვევაში, გაითვალისწინონ სტუდენტების სოცო-ეკონომიკური მდგომარეობა და დააწესონ შესაბამისი შეღავათები (გადანაწილება) სწავლის საფასურთან მიმართებაში;
- უზრუნველყონ ყველა სასწავლო მასალის გაციფრულება და ყველა ძირითად სასწავლო რესურსებზე თანაბარი ხელმისაწვდომობა;
- კერძო უნივერსიტეტებმა უნდა განსაზღვრონ სტუდენტების საცხოვრებლის ადეკვატური ღირებულება ადგილობრივ სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტის გათვალისწინებით.

გამოყენებული ლიტერატურა

CRRC Georgia 2020: კავკასიის ბარომეტრი.

DZHW 2018: Social and Economic Conditions of Student Life in Europe. Bertelsmann Verlag GmbH.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2020: სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობა.

ტიში, ქ. 2017: საქართველო: სახელმწიფო ბაზარში. ნეოლიბერალიზმიდან მართულ კაპიტალიზმამდე.

ჯონსი, ს. 2013: საქართველო - პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

World Bank 2019: Education Dataset.

Sharvashidze, G. 2005: Private Higher Education in Georgia. International Institute for Educational Planning.

Chakhia, L., Bregvadze, T. 2018: Georgia: Higher Education System Dynamics and Institutional Diversity. In 25 Years of Transformations of Higher Education Systems in Post-Soviet Countries (pp. 175-197).

სამნიაშვილი, ლ. 2017: ქართული უნივერსიტეტების ფუნქციონირების ძირითადი განზომილებები და მათში მიმდინარე პროცესები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ბაქრაძე, თ. 2019: უმაღლესი განათლების მასიფიკაცია და სპეციალობით დასაქმების დონე საქართველოში (საბაკალავრო საფეხური). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

Mishan, J. 1969: Higher education: Paradise lost?

Deeley, S. J. 2015: Critical Perspectives on Service-Learning in Higher Education. Springer Link.

Hodgson, N., Vlieghe, J., Zamojski, P. 2020: Post-critical Perspectives on Higher Education. Springer Link.

Guadilla, G. 2000: The Institutional Basis of Higher Education Research.

Ninnes, P. 2005: Internationalizing Higher Education: Critical explorations of pedagogy and policy.

Garritzmann, J. 2016: The Political Economy of Higher Education Finance. Springer.

ავტორების შესახებ

თემო ბეჟანიძე - პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სოციალური კვლევის ასოციაცია (SRA)

ანა პაპიაშვილი - სოციოლოგიის დოქტორანტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი (ISSA)

სამართლებრივი მიმოხილვის ავტორი:
თორნიკე გერლიანი, იურისტი, მკვლევარი.

იმპრესარიუმი

ფრიდრიხ ებერტის ფონდი | თბილისის ოფისი
ნინო რამიშვილის ქ., 1 ჩიხი, სახლი 1
0179 თბილისი | საქართველო

პასუხისმგებელი პირი:
ფელიქს ჰეტი | სამხრეთ კავკასიის
რეგიონული ოფისის დირექტორი
ტელ.: +995 32 225 07 28
<http://southcaucasus.fes.de/>

პუბლიკაციის შესაკვეთად დაგვიკავშირდით:
georgia@fes.de

დაუშვებელია ფონდის მიერ გამოცემული
მასალების ფონდის წერილობითი თანხმობის
გარეშე კომერციული მიზნით გამოყენება.

კვლევა მომზადდა პროექტის „განათლება და სოციალური
სამართლიანობა: კვლევისა და მონაწილეობითი ადვოკატირების
გზით საქართველოში უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის
მხარდაჭერა“ ფარგლებში, რომელიც განხორციელდა ფრიდრიხ
ებერტის ფონდის მხარდაჭერით.

კვლევაში გამოთქმულ მოსაზრებებზე პასუხისმგებელია კრიტიკული
პოლიტიკის პლატფორმა.

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ
ემთხვეოდეს ფრიდრიხ ებერტის ფონდის პოზიციას.

უმაღლესი განათლება და სოციალური სამართლიანობა

სტუდენტთა სოციალური საჭიროებების კვლევა



დისკუსიის შედეგად გამოვლინდა, რომ დისტანციური სწავლის ფორმატში რეგიონში მაცხოვრებელი სტუდენტებისთვის ძირითად დაბრკოლებას ინტერნეტთან სრულფასოვანი წვდომა წარმოადგენდა.



სტუდენტური საცხოვრებლების სიმცირის და ქირავნობის მაღალი ხარჯების გამო, სტუდენტთა ნაწილი ქ. თბილისთან ახლოს სხვა ქალაქებში (ძირითადად, რუსთავი) ქირავნობის პრაქტიკებსაც მიმართავს, რათა შეამციროს აღნიშნული ხარჯები.



უმაღლესი განათლება მამრობითი სქესის სტუდენტების მიერ სავალდებულო სამხედრო სამსახურისგან თავის დადრევის ერთ-ერთ საშუალებად დასახელდა.

მეტი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე:
<https://southcaucasus.fes.de/>